ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba
akhalitaoba.ge

„ეს არის კაპიტულაცია რუსული პოლიტიკის მიმართ“



გვ.7

ცოტნე სოსელიას, ბესიკ თამლიანს, კახაბერ კუპრეიშვილსა და ზურაბ ბუდაღაშვილს წინასწარი პატიმრობა შეეფარდათ

2 ივლისიდან

ანა სიუელი

მშვენიერი შავრა

„მე მიყვარს კითხვა“

ფასი გაზეთთან ერთად 8 ლარი




ორშაბათი, 8 ივლისი, 2019 №159 (8113) ფასი: 60 თეთრი

# „გეიაღლუმის უკან გიგა ბოკერია და მიხეილ სააკაშვილი დგანან“



გვ.3

## სანდრო ბრეგაძე:

„ქართული მარში“ ყოველგვარ ძალადობას ემიჯნება – გარყვნილებას ლოცვით დავუპირისპირდებით“



## „ივანიშვილი დაარწმუნეს, რომ გახარია, ოპოზიციასთან ერთად, გადატრიალებას უპირებდა“



ოთარ კვირიკაშვილი: „მას თავისი შიშებიც საკმაოდ აქვს, მაგრამ „კეთილისმყოფელი“ მრჩევლები სულ მთლად აგიჟებენ“



გვ.2



## სოსო ცინცაძე: „ივანიშვილის მიზანია ბლოკების დაშლა“

გვ.5

### სამართალი

გვ.7



ლამბოს, ოსკარს, ყურშას, ბაჩოს, ნიესა და კიდევ 5 პირს წინასწარი პატიმრობა შეეფარდათ



„არ ჰქონდა სახე, არ ჰქონდა ერთი ხელი და გულზე ქალის ტუფლი ედო“

ვინ იპოვეს ქუთაისის სკოლის ეზოში

სუსმა ქრთამის აღების ფაქტზე ერთი პირი დააკავა

გვ.5



### ეკონომიკა

გვ.2

აკაკი ზოიძე: „2025 წლამდე თამბაქოს ფასი ეტაპობრივად მოიმატებს“





სესხები, იპოთეკა და თავდებობა – რა უნდა ვიცოდეთ ხელშეკრულებაზე ხელის მოწერისას

გვ.6



რა ღირს ზაფხულში დასვენება საქართველოს მთის კურორტებზე

გვ.5

ISSN 1987-9385
9 771987 938006

5 ქართველი მეღვინეები დახმარებას ხელისუფლებას სთხოვენ

4 გუბაზ სანიკიძე: „ნეტა დაგვიჭიროს ივანიშვილმა, ნახავს, რაც მოხდება!“

6 ჯემალ გამახარია: „რუსთაველზე დაიმსხვრა მითი, რომ საქართველო რუსულ ოკუპაციას შეურიგდება“

3 ადა მარშანია: „არ გვინდა „ოცნება“ და ნაცმოძრაობა, გვინდა რუსი ტურისტი და ფული“

# „ივანიშვილი დაარწმუნეს, რომ გახარია, ოპოზიციასთან ერთად, გადატრიალებას უპირებდა“

## ოთარ კვირიკაშვილი: „მას თავისი შიშებიც საკმაოდ აქვს, მაგრამ „კეთილისმყოფელი“ მრჩევლები სულ მთლად აგიჟებენ“

შორენა მარსაგიშვილი

რატომ აღარ ენდობა ივანიშვილი მთავრობას, რატომ მოსთხოვა ძალოვნებს წინა ხაზზე გამოსვლა, ვინ მიეყიდა ოლიგარქს, გაუძლებს თუ არა ოპოზიცია შავი პიარის ახალი ტალღის შემოტევას? – ამის შესახებ „ახალ თაობას“ „გამარჯვებული საქართველოს“ ერთ-ერთი დამფუძნებელი ოთარ კვირიკაშვილი ესაუბრება.

***– თქვენ სოციალურ ქსელში დაწერეთ, რომ შს მინისტრი მზად იყო ოპოზიციასთან მოსალაპარაკებლად, რაც ივანიშვილმა ჩაშალა. მოლაპარაკების ჩასაშლელად დარბევის ბრძანებაც კი გასცაო. რა გაძლევთ ამის თქმის საბაბს?***

– იმაზე არავინ დავობს, რომ დღეს საქართველოში ყველა მნიშვნელოვან გადაწყვეტილებას ივანიშვილი იღებს. 20 ივნისის აქციის დარბევის ბრძანებაც მისი გაცემულია. ამაში მე პალიკო კუბლაშვილის განცხადებამ დამარწმუნა, რომელიც ოპოზიციასა და ხელისუფლებას შორის მოლაპარაკებებს აწარმოებდა.

მან თქვა, რომ მოლაპარაკებაზე ოპოზიციაც დათანხმდა და შს მინისტრიც, მაგრამ შეთანხმების მიღწევიდან ზუსტად 5 წუთში სპეცრაზმმა დაიწყო სროლა. ძალოვნების ასეთი რეაქციით კუბლაშვილიც გაოგნებული დარჩა.

როგორც ჩანს, ივანიშვილს ვიღაცამ ჩააწვეთა, რომ ოპოზიცია პარლამენტში შედის, სადაც არის გიორგი გახარია და ისინი ერთად გადაგატრიალებენ – განმეორდება 2003 წლის ვარდების რევოლუციის სცენარი.

***– ვის შეეძლო ივანიშვილისთვის ამის ჩაწვეთება?***

– მრჩევლები ხომ ჰყავს და იქიდან რომელიმე ჩააწვეთებდა. ივანიშვილიც შეშინდა და ანზორ ჩუბინიძეს ჩაატარებინა სპეცოპერაცია აქციის მონაწილეების წინააღმდეგ. „ოცნების“ ლიდერი თავიდან ბოლომდე სახელმწიფო სამსახურის უფროსს დაეყრდნო.

შუაღამის შემდეგ გახარიაც იძულებული გახდა, ჩართულიყო ამ სპეცოპერაციაში, მაგრამ სადავეები მის ხელთ არ იყო. ყველაფერს ჩუბინიძე განაგებდა. ეს მოხდა იმიტომ, რომ ოლიგარქი შეშინდა, შევარდნაძის ბედი არ გაეზიარებინა.

ამ დარბევით ჩაშალა ივანიშვილმა ის მოლაპარაკება, რომელიც ოპოზიციასა და შს მინისტრს შორის უნდა გამართულიყო. მას დააჯერეს, რომ ვიღაც გადატრიალებას უპირებდა და ამის მერე უკვე ხელისუფლების წარმომადგენლებმა დაიწყეს გადატრიალებაზე ისტერიული ლაპარაკი.



***– გამოდის, რომ ივანიშვილი შს მინისტრს აღარ ენდობა?***

– „ოცნების“ ლიდერი გახარიას დიდი ხანია, აღარ ენდობა. ჩემი ინფორმაციით, ივანიშვილი რამდენიმე თვეში ისედაც აპირებდა მის მოხსნას. 20 ივნისს შს მინისტრის ძალიან შეეშინდა, ეგონა, რომ ის ძალაუფლებას დაკარგავდა.

***– იყო იმის ალბათობა, რომ გახარიასა და ოპოზიციას შორის მოლაპარაკებები შედგებოდა და ისინი ერთად ჩამოაგდებდნენ ივანიშვილს?***

– არა, მაგრამ ეს კაცი არის ეჭვიანი. მისი უახლოესი გარემოცვა ამბობს, რომ სერიოზულ პანიკაშია. ამ ამბების მერე საერთოდ სპეცრაზმთან ერთად იძინებს.

მას თავისი შიშებიც საკმაოდ აქვს, მაგრამ „კეთილისმყოფელი“ მრჩევლები სულ მთლად აგიჟებენ, ათას სისულელეს ეუბნებიან, ამანაც აღარ იცის, რა ქნას და არის ასე აგონიაში.

აგონიაში რომ არ ყოფილიყო, ყველა ძალოვანს წინა ხაზზე ხომ არ გაიყვანდა. დარბევის ღამეს მან გახარიას, ხოჯევანიშვილს, ჩუბინიძესა და საბანაძეს მოსთხოვა, პარლამენტიდან გამოსულიყვნენ და სპეცრაზმთან ერთად დამდგარიყვნენ, ეშინოდა, რომელიმე მათგანს ოპოზიციასთან მოლაპარაკებები არ ეწარმოებინა.

გამოდის, რომ ივანიშვილმა აქცია მხოლოდ იმიტომ დაარბევინა, რომ მოლაპარაკება ჩაეშალა. მოლაპარაკებებისთვის პრემიერი ბახტაძეც მზად იყო. მაგიტომ თქვა ამ ადამიანმა, რეზინის ტყვიები და ცრემლსადენი გაზი „ოცნების“ სტილი არ არისო. ნიშანდობლივია ის ფაქტიც, რომ მოლაპარაკებები ანზორ ჩუბინიძეს ჩააშლევინა.

***– გამოდის, რომ მას ძალიან ენდობა ივანიშვილი?***

– ჩუბინიძე, ისევე, როგორც ვახტანგ გომელაური, მისი პირადი მცველები იყვნენ და, ბუნებრივია, ყველაზე მეტად მაგათ ენდობა.

***– დარბევის ბრძანება რომ ჩუბინიძემ გასცა, ამაზე უკვე ბევრი საუბრობს. ეს გახარიას ხომ არ აცილებს პასუხისმგებლობას? რაღაც ასე გამოდის – ისრებმა დაცვის სამსახურის უფროსისკენ გადაინაცვლა.***

– შს მინისტრი პასუხისმგებლობას ვერ გაექცევა. არანაირი ახსნა და გამართლება არა აქვს იმას, რომ შენს დაქვემდებარებაში მყოფ დანაყოფებს სხვა აძლევს ბრძანებას.

სიმართლე თუ გვინდა, დარბევის ბრძანება არც ჩუბინიძეს გაუცია. მან მხოლოდ გაახმოვანა ეს. ბრძანება რიგითმა მოქალაქემ, კერძო პირმა, ვინმე ივანიშვილმა გასცა.

ამ ბრძანების გაცემისთვის „ოცნების“ ლიდერი დასაჭერია, ისევე, როგორც ჩუბინიძე და გახარია. მათ კერძო პირის მიერ გაცემული უკანონო ბრძანება შეასრულეს და ადამიანებს თვალები დასთხარეს.

დიახ, დასაჭერია ბიძინა ივანიშვილი და მიმაჩნია, რომ აქციები მის სახლთან უნდა იმართებოდეს. ამის შესახებ მაშინვე ვთქვი, როცა პარლამენტის წინ აქციები დაიწყო.

ყველამ კარგად ვიცით, რომ ამ ქვეყანაში გადაწყვეტილებებს იღებს ბიძინა. ამიტომაც აქცია უნდა გაიმართოს მის სახლთან.

მიმაჩნია, რომ აქციები მთელი ქვეყნის მასშტაბით უნდა გაიმართოს. მარტო თბილისში გამოხატული პროტესტი საკმარისი არ არის. მთელმა საქართველომ უნდა მოითხოვოს არალეგიტიმური ხელისუფლების წასვლა. 2019 წლის 20 ივნისის შემდეგ „ოცნება“ არალეგიტიმური გახდა.

არაფორმალურმა მმართველმა ოპოზიციის წინააღმდეგ ახალი ფრონტი გახსნა. „ოცნებამ“ თბილისში შავი პიარის სპეციალისტი, ჩვენთვის კარგად ნაცნობი მოშე ჩამოიყვანა.

ივანიშვილმა იცის, რომ წელს ვადამდელი არჩევნები აღარ მოესწრება და, სხვების მსგავსად, 2020 წლისთვის შეუდგა სამზადისს. მან კარგად იცის, რომ ამ დროისთვის რეიტინგს სრულიად დაკარგავს და არჩევნების წინ ხალხისთვის არაფერი ექნება სათქმელი.

აქამდე არჩევნების წინ 7 ნოემბრისა და 26 მაისის დარბევის კადრებს ატრიალებდნენ და საზოგადოებას ნაციონალების დაბრუნებით აშინებდნენ. ახლა ამ კადრებს, უბრალოდ, ველარ დაატრიალებს.

***– რატომ ველარ დაატრიალებს?***

– 20 ივნისის ღამის შემდეგ „ოცნება“ და ძველი დამარბევლები ერთ სიბრტყეში გადიან. ახლა შეეცდებიან, ეს სისხლიანი ღამე ოპოზიციას გადააბრალონ, ამისთვის ჩამოიყვანეს მოშე. აამუშავებენ ტროლების ქარხანას. პროცესში ჩაერთვებიან საჯარო სამსახურებში დასაქმებულებიც. ხელისუფლებამ ოპოზიციას უკვე ღიად გამოუცხადა საინფორმაციო ომი.

***– ოპოზიცია მზად არის საინფორმაციო ომისთვის?***

– ზოგი მზად არის, ზოგი – არა. ოპოზიციამ უნდა გაითავისოს, რომ თანამედროვე სამყაროში მედიასა და სოციალურ ქსელებს ძალიან დიდი როლი აქვთ. სოციალურ მედიას, დასავლეთის გარდა, რუსეთიც სერიოზულად იყენებს. ეს მიმართულება ჩვენმა ოპოზიციონერებმაც უნდა აითვისონ.

***– საქართველოში ოპოზიცია არ იყენებს სოციალურ მედიას?***

– ყველა არა. ზოგიერთმა ოპოზიციონერმა ფეისბუქის მართვაც კი არ იცის. ნათქვამია, ზოგი ჭირი მარგებელიაო და მოშეს გამოჩენის შემდეგ ისინი ისწავლიან სოციალური ქსელების გამოყენებას.



„ოცნებას“ შავი პიარის მამის იმედი ტყუილად აქვს. რამდენიმე თვის წინ ეგ ადამიანი პოროშენკოს ეხმარებოდა საპრეზიდენტო არჩევნებში, მაგრამ იქ ზელენსკიმ გაიმარჯვა.

***– ჩვენში ჩატარებულ საპრეზიდენტო არჩევნებზე მოშემ „ოცნებას“ სერიოზული შედეგი დაუდო.***

– მაშინ საქართველოში სხვა სიტუაცია იყო. ახლა მის იმედად ყოფნა იგივეა, რაც წყალწაღებული ხავსს ჩაეჭიდოს. ახალგაზრდებისთვის თვალების დათხრა რამ უნდა გადაფაროს. გაპრავებასაც აქვს თავისი საზღვარი და „ოცნების“ ტროლებსაც შერცხვებათ ამის კეთება.

***– დარწმუნებული ხართ, რომ შერცხვებათ?***

– ბოლოს მაინც შერცხვებათ.

***– მოდით, ისევ ოპოზიციის მზადყოფნაზე ვისაუბროთ. საინფორმაციო ომის მოგერიების გარდა, მათ აქვთ სერიოზული ცდუნება – პროპორციული სისტემა. რიგმა პარტიებმა უკვე დაიწყეს კეკლუცობა ივანიშვილთან.***

– ეგ მოსალოდნელიც იყო. არ მინდა გვარების და პარტიების დასახელება, მაგრამ რაღაც ნაწილი „ოცნებასთან“ თანამშრომლობს.

ყოველთვის მიხეილ სააკაშვილის მოწინააღმდეგე ვიყავი, მიმაჩნდა, რომ გიჟი და გადარეული იყო, მაგრამ ერთ რამეში ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ მისი პარტია ივანიშვილს არასდროს მიეყიდება.

***– ამაში ასეთი დარწმუნებული რატომ ხართ?***

– იმიტომ, რომ გაერთიანებულ ოპოზიციას პირველობა უნდა. აქედან გამომდინარე, მისი და „ოცნების“ თანამშრომლობა გამორიცხულია.

იგივე შემიძლია ვთქვა ირაკლი ოქრუაშვილზე. ამ ადამიანს ვესაუბრე, გავიარეთ რაღაცები და დავრწმუნდი, რომ მას ივანიშვილი ჯიბეში ვერ ჩაისვამს. ამიტომ ვარ მასთან ერთად „გამარჯვებულ საქართველოში“.

***– ოქრუაშვილი ვახსენეთ და ზემოთ ნახსენები საინფორმაციო ომი ყველაზე მეტად მას დაატეხეს თავს.***

– დაატეხეს იმიტომ, რომ გამოკვეთილი ლიდერია მთელ ოპოზიციაში. ასეთივე გამოკვეთილი ლიდერი ჰყავთ ნაციონალებს მიხეილ სააკაშვილის სახით, რომელიც საქართველოში არ არის.

ლიდერის თვისებები აქვთ ნიკა მელიასა და გიგი უგულავასაც. ამიტომაც აღიძრა მათ წინააღმდეგ საქმეები. ოქრუაშვილზე საერთოდ საშინელებებს ამბობენ.

ეს საინფორმაციო ომი კიდევ უფრო გაძლიერდება და თუ მოშემაც არ უშველა და სიტუაცია ვერ გადაწონეს, ივანიშვილი 2020 წლის არჩევნებს აღარ დაელოდება და შეიძლება, საქართველოდანაც კი გაიქცეს.

***– რატომ უნდა გაიქცეს?***

– არ უნდა, რომ ხალხის თვალში საბოლოოდ გაბანძდეს. მან ყველაზე კარგად იცის, რა რეიტინგიც აქვს დღეს „ქართულ ოცნებას“. ისინი ხშირ-ხშირად ატარებენ კვლევებს და ძალიან კარგად იციან, რას ფიქრობს ხალხი.

ამ საინფორმაციო ომმაც თუ ვერ შეცვალა ხალხის განწყობა, „ოცნების“ ლიდერი, უბრალოდ, გაიქცევა.

# აკაკი ზოიძე: „2025 წლამდე თამბაქოს ფასი ეტაპობრივად მოიმატებს“



„თამბაქოზე ფასის ყოველი 10%-იანი მატების დროს მწეველთა რაოდენობა 3%-5%-ით მცირდება. თამბაქოზე ფასის ზრდა კი ჩვენი ვალდებულებაა“, – ამის შესახებ ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე აკაკი ზოიძემ „ბიზნესპრესნიუსთან“ საუბრისას განაცხადა.

მისივე თქმით, 2025 წლისთვის თამბაქოს ფასი ეტაპობრივად მოიმატებს და დაახლოებით 1000 ღერი 90 ევრო ეღირება.

– თამბაქოზე ფასის მატება არის ვალდებულება, ყველა ქვეყანა ეტაპობრივად უმატებს და ჩვენც გვაქვს იგივე ვალდებულება, მაგრამ ეს არ შეიძლება მოხდეს ნახტომისებურად. თამბაქოს კომპანიები აქციზის გარეშეც უმატებენ ფასს, როცა უნდათ მაშინ. ეს იმდენად არაელასტიკურია, ხშირ შემთხვევაში, რომ 3% -5%-იანი შემცირება ხდება თამბაქოზე ფასის ყოველი 10%-იანი მატების დროს. ჩვენ 2025 წლისთვის უნდა გვქონდეს გარკვეული დონე, დაახლოებით 90 ევრო უნდა იყოს 1000 ღერზე. მანამდე უნდა მოხდეს ეტაპობრივად მომატება, – განაცხადა აკაკი ზოიძემ.

შეგახსენებთ, რომ გასული წლის 1-ლი იანვრიდან საგადასახადო კოდექსში შესული ცვლილებებით, ფილტრიან სიგარეტზე ადვალური გადასახადი გაიზარდა, რაც ნიშნავს, რომ ცვლილების შედეგად კომპანიებს კოლოფის ღირებულების 10%-ის ნაცვლად სახელმწიფოსთვის 30%-ის გადახდა უწევთ. ამასთან, 2019 წლიდან უფილტრო სიგარეტის აქციზი ღირებულება, ფილტრიანისას გაუთანაბრდა და ერთ კოლოფზე ლარსა და 70 თეთრს გაუტოლდა.

კომერსანტი

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www.akhalitaoba.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# „გეიაღლუმის უკან გიგა ბოკერია და მიხეილ სააკაშვილი დგანან“

## სანდრო ბრეგაძე: „ქართული მარში“ ყოველგვარ ძალადობას ემიჯნება – გარყვნილებას ლოცვით დავუპირისპირდებით“



შორენა მარსაგიშვილი

გუშინ, 7 ივლისს, „თბილისი პრაიდის“ ორგანიზატორებმა საქართველო შოკში ჩააგდეს. მათ ერსა და ბერს ამცნეს, რომ ივნისის სისხლიანი მოვლენების გამო გაუქმებულ „ღირსების მარშს“, რომელსაც ჩვენებურები გეიაღლუმს ეძახიან, 8 ივლისს მაინც ჩაატარებენ.

ოპოზიციის მტკიცებით, გეიაღლუმის უკან ხელისუფლება დგას, ხელისუფლების მომხრეები კი ღირსების მარშზე პასუხისმგებლობას ოპოზიციას აკისრებენ.

ღირსების მარშის ჩასაშლელად გუშინვე დაირაზმა „ქართული მარში“. როგორც მისი ლიდერი სანდრო ბრეგაძე „ახალ თაობასთან“ საუბარში ამბობს, გეიაღლუმი იმ ქართველი ახალგაზრდების შეურაცხყოფაა, რომლებიც რუსულ ოკუპაციას აპროტესტებენ.

რატომ არის ხელისუფლება შავ დღეში, რა გამოხმაურება აქვს გეიაღლუმს რუსეთში, ვინ დგას რეალურად ღირსების მარშის უკან? – ამაზე „ქართული მარშის“ ლიდერი სანდრო ბრეგაძე გვესაუბრება.

**სანდრო ბრეგაძე:**

– უკვე 26 წელია, რაც აქტიურ პოლიტიკაში ვარ. ამ დროის განმავლობაში უამრავ ავადმყოფს, მოღალატესა და ნაძირალას შევხვედრივარ, მაგრამ ისეთი გამყიდველები, როგორებიც „თბილისი პრაიდის“ ორგანიზატორები არიან, არ მინახავს.

ეს ხალხი აპირებს გეიაღლუმის ჩატარებას და ამით ანტისაოკუპაციო მოძრაობას მიაყენეს ძალიან დიდი შეურაცხყოფა, პირველ რიგში კი ის გოგო-ბიჭები შეურაცხყვეს, რომლებსაც 20-21 ივნისის ღამეს რუსთაველზე თვალები დასთხარეს.

***– რატომ ფიქრობთ, რომ თუ ღირსების მარში ჩატარდება, ამით ამ ახალგაზრდებს შეურაცხყოფენ?***

– კი არ მგონია, ეს ასეა. 7 ივლისს „თბილისი პრაიდის“ ორგანიზატორების გაკეთებულმა განცხადებამ ასეთი სურათი დახატა, რომ რუსთაველზე ეს საპროტესტო აქციები მიმდინარეობდა მხოლოდ იმიტომ, რომ მამათმავლებს ჩაეტარებინათ აღლუმი.

ასეთი დიდი შეურაცხყოფა საქართველოსა და ანტისაოკუპაციო მოძრაობისთვის არავის მიუყენებია.

ამ დღეების განმავლობაში მოქალაქეებისგან უამრავი საყვედური მივიღე. ისინი ინტერესდებოდნენ, თუ რატომ არ ვიდექით ჩვენ ანტისაოკუპაციო მიტინგზე. იმედია, ახლა მაინც მიხვდნენ ეს ადამიანები, რატომ არ მივდიოდი პარლამენტის შენობის წინ.

მე თავიდანვე ვიცოდი, რომ იმ აქციებით მზადდებოდა ფონი, გეიაღლუმი ჩატარებულიყო.

***– იმ აქციებზე ამ თემაზე სიტყვაც კი არავის უთქვამს და თქვენ საიდან მიხვდით?***

– სიტყვის თქმა რა საჭირო იყო. ამ აქციების ორგანიზატორები არიან ის ადამიანები, რომელიც ღიად თანაუგრძნობენ გეიაღლუმს.

***– გეიაღლუმის მხარდამჭერი რატომ არ შეიძლება, ოკუპაციის წინააღმდეგი იყოს?***

– ამ შემთხვევაში მე ვსაუბრობ იმაზე, რომ ამ ხალხმა ანტისაოკუპაციო განწყობა გეიაღლუმის ჩასატარებლად გამოიყენა. მიმაჩნია, რომ ამის გამო ახალგაზრდებმა მათ პასუხი უნდა მოსთხოვონ.

ჩემი მხრიდან შემიძლია ვთქვა, რომ ერთი კაციც რომ დავრჩე ამ ქვეყანაში, მარტო გადავუდგები მათ წინ და მხოლოდ ჩემს გვამზე გადავლით ჩაატარებენ ამ გარყვნილების ზეიმს.

დარწმუნებული ვარ, მარტო არ მომიწევს ამის წინააღმდეგ წასვლა, ვიცი, რომ ქუდზე კაცი გამოვა. არავის მივცემთ უფლებას, ანტისაოკუპაციო მოძრაობა შებღალოს.

ეს ე.წ. ღირსების მარში დღეს რუსეთის წისქვილზე ასხამს წყალს. იცით, რას წერენ რუსული გამოცემები? რომ წაიკითხოთ, გული გაგისკდებათ.

***– რას წერენ ამისთანას?***

– წერენ, რომ საქართველოში რუსულ ოკუპაციას მხოლოდ მამათმავლები აპროტესტებენ. დღეს ვინც გარყვნილების ზეიმს უჭერს მხარს, ის არის საქართველოს ოკუპაციის მოსურნე.

***– არის მოსაზრება, რომ ღირსების მარშის უკან დგას ხელისუფლება, რომელსაც ანტისაოკუპაციო აქციებიდან სხვა თემებზე სჭირდება ყურადღების გადატანა. ამას გამორიცხავთ?***

– მე ვიცი, რომ ამ ღონისძიების უკან დგას გიგა ბოკერია. ისიც ზუსტად ვიცი, რომ ეს გეიაღლუმი შეთანხმებულია მიხეილ სააკაშვილთან.

გავრილოვის ჩამოსვლას მხოლოდ იმიტომ მოჰყვა ასეთი ამბები, რათა ჩაშლილი გეიაღლუმი გაემართათ. ვერც კი წარმოიდგენთ, რა მნიშვნელოვანია ამათთვის გარყვნილების ზეიმის ჩატარება.

***– რატომ უნდა იყოს ასეთი მნიშვნელოვანი? ხომ არ აჭარბებთ?***

– არ ვაჭარბებ. ვცდილობ, მოზომილი ვიყო. ამ ღონისძიების გამართვის შემთხვევაში ქართული, ეროვნული სული წელში იქნება გადატეხილი. ამაზე ლიბერასტები დიდი ხანია ოცნებობენ. ამაზე ოცნება კიდევ დიდი ხანი მოუწევთ, რადგანაც „ქართული მარში“ არ დაუშვებს გეიაღლუმის ჩატარებას.

***– კომბლებითა და ქამრებით გამოხვალთ?***

– არანაირი კომბლები და ქამრები. „ქართული მარში“ თავიდანვე გაემიჯნა ამ ძალადობას. მიგვაჩნდა და ახლაც მიგვაჩნია, რომ კომბლების გამოყენება ისეთივე პროვოკაციაა, როგორიც – გეიაღლუმი.

„ქართული მარში“ მხოლოდ ლოცვითა და ქრისტიანული რწმენით არ მისცემს საშუალებას გარყვნილების ზეიმის ორგანიზატორებს, თავიანთი ზრახვები სისრულეში მოიყვანონ.

***– გინდათ თქვათ, რომ ძალადობას ადგილი არ ექნება?***

– ჩვენ ვემიჯნებით ძალადობას, ლოცვით აღვუდგებით წინ გარყვნილებას.

***– იმ შემთხვევაში რას იზამთ, თუ ვინმემ მაინც იძალადა?***

– ახლავე გეუბნებით, ჩვენი მხრიდან ძალადობა გამორიცხულია და, თუ ვინმე იძალადებს, ჩათვალეთ, რომ ის პროვოკატორია. ამ ადამიანებზე ყოველგვარ პასუხისმგებლობას ვიხსნით თავიდან.

***– ზემოთ თქვით, რომ გეიაღლუმის ორგანიზატორები სააკაშვილი და ბოკერია არიან. ეს ადამიანები ერთმანეთთან არიან დაპირისპირებული.***

– არანაირი დაპირისპირება მათ შორის არ არის. ეს ზღაპრები თავიანთ შვილებს უამბონ. ისინი ერთმანეთს მოჩვენებითად ლანძღავენ. სინამდვილეში ერთად არიან.

ჩემს ხელთ არსებული ინფორმაციით, ამ თემაზე მიხეილ სააკაშვილმა [illegible] გამართა საიდუმლო თათბირი. მასში ნაციონალებიც მონაწილეობდნენ და ევრონაცებიც.

***– ევრონაცები ანუ „ევროპული საქართველო“?***

– დიახ. ქართველმა ხალხმა სწორად შეურჩია მათ სახელი.

***– ხალხის ნაწილი მათ ევროქოცებსაც ეძახის.***

– სახელებს ნუ გამოვეკიდებით, ახლა ასეთი რეალობის წინაშე ვდგავართ – ნაცები და ევრონაცები ლიბერასტებთან ერთად აპირებენ გეიაღლუმის გამართვას.

რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, ბოკერიას დაევალა დიპლომატიური კორპუსის საქმის კურსში ჩაყენება.

ბევრი ფიქრის შემდეგ ნაცები და ევრონაცები მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ საპროტესტო აქციების მუხტი დაეცა და მაშველ რგოლად გეიაღლუმის გადმოგდებაა საჭირო.

***– ზევით გვითხარით, ამ აღლუმის გამართვა იმიტომ უნდათ, რომ ქართული სული მოკლანო, ახლა – მუხტის ასაწევადო.***

– ერთი მეორეს არ გამორიცხავს. ამ აღლუმის გამართვით ისინი ორ კურდღელს დაიჭერენ, ეროვნულ სულს ჩაკლავენ და ხელისუფლების წინააღმდეგ აამხედრებენ ხალხს. ამ ვითარებაში საქართველოს ხელისუფლება გამოუვალ მდგომარეობაშია.

გეიაღლუმის დასაცავად რომ სამართალდამცავებს გამოიყვანენ, ეს ყველამ ვიცით. სამართალდამცავებმა უნდა იცოდნენ, რომ თუ ისინი ჩვენს მშვიდობიან პროტესტს ხელს შეუშლიან, ხალხი მათ გეებთან გააიგივებს.

იმ შემთხვევაში, თუ ჩვენ არ შეგვიშლიან ხელს და აღლუმი არ გაიმართება, პოლიციას ისინი დაუძახებენ მოძალადეებს.

იგივე დაემართება მთელ ხელისუფლებას. ამიტომ ვამბობდი, რომ გამოუვალ მდგომარეობაში არიან – ჩატარდება აღლუმი – ვაი, არ ჩატარდება – ვუი.

ხელისუფლება ხალხის რისხვას ვერც ერთ შემთხვევაში ვერ გადაურჩება. დაგდებული საპროტესტო მუხტის ასაწევად ეს გადასარევი საშუალებაა.

# „არ გვინდა „ოცნება“ და ნაცმოძრაობა, გვინდა რუსი ტურისტი და ფული“

შორენა მარსაგიშვილი

**ბოლო დროს ძალიან გააქტიურებულმა პატრიოტთა ალიანსმა კიდევ ერთი შეკრება გამართა. ამჯერად პატრიოტები სპორტის სასახლეში შეიკრიბნენ და არასპორტული განცხადებები გააკეთეს.**

ალიანსის ლიდერებმა ერთიანად დაგმეს ძველი და ახალი ხელისუფლებები, სამაგიეროდ, თბილად მოიხსენიეს რუსეთი.

პარტიის ერთ-ერთ ლიდერს, ადა მარშანიას, ხელისუფლებასთან ერთად მედიაც შემოელანძღა.

ადა მარშანიას მასთან კომენტარზე მისული ჟურნალისტების კითხვები არ მოეწონა და მათი განდევნა ორიგინალურად ცადა.

– ქიშ, ქიშ, – ნაზად აუქშია მარშანიამ ხელი ჟურნალისტებს.

ამაზე მედიის წარმომადგენლები გამწარდნენ, ქიშ-ს რატომ გვეუბნებით, წიწილები კი არ ვართო.

ამ რეპლიკაზე მარშანია ოდნავ მოლბა და უფრო ნაზად აუქშია მედიას:

– ქიშ, ქიშ, წიწილებო, ნეტავ წიწილები იყოთ, თქვენ ხართ პროვოკატორები.

მთავარმა პატრიოტმა დავით თარხან-მოურავმა კი ქიში-ქიში ხელისუფლებას ეძახა. მისი თქმით, რუსეთთან საერთო ენის გამონახვა აუცილებელია.

– ჩვენ გვინდა, რომ მოვძებნოთ საერთო ენა რუსეთთან. ჩვენ გვინდა სამხედრო მიუმხრობლობა. გვინდა ტურისტიც და ფულიც. არ გვინდა „ქართული ოცნება“, „ნაცმოძრაობა“, ბოკერია და ლგბტ რევოლუცია. ჩვენ გვინდა ღმერთი, ეკლესია, ქართული აზროვნება, – აღნიშნა თარხან-მოურავმა.

პარტიის კიდევ ერთმა ლიდერმა, პარლამენტის ვიცესპიკერმა ირმა ინაშვილმა იმ საფრთხეებზე ისაუბრა, რომელთა წინაშეც დღეს საქართველო დგას.

– 15 ივნისს თავისუფლების მოედანზე 40.000 მეტი ადამიანი შეიკრიბა, სადაც ჩვენ ვთქვით, რომ გაგრძელდება საპროტესტო აქციების ციკლი. ამის შემდეგ შევიკრიბეთ ზუგდიდში, იგეგმება შეკრება ბათუმში. დღეს ჩვენ შევიკრიბეთ სპორტის სასახლეში იმიტომ, რომ ბევრი სათქმელი დაგროვდა.

ქვეყანა დღეს დგას ძალიან სერიოზული საფრთხეებისა და გამოწვევის წინაშე – ეს ეხება დავითგარეჯს, სიღარიბეს, პოლიტიკურ კონფიგურაციას ქვეყანაში, რუსეთთან მიმართებით საქართველოს პოლიტიკას. დღეს ჩვენ ვდგავართ რუსეთთან რეალური ომის წინაშე და საჭიროა არა კოცონების დანთება ჩვენი ქვეყნის გარშემო,



არამედ ამ კოცონების ჩაქრობა, – აღნიშნა ირმა ინაშვილმა.

აქამდე პატრიოტები ძირითადად რუსთაველის გამზირზე იყრიდნენ ხოლმე თავს. მედია დაინტერესდა, ამჯერად რატომ არ აირჩიეს ქვეყნის მთავარი გამზირი.

ამაზე პარლამენტის ვიცესპიკერს ასეთი პასუხი აქვს:

– იყო შეხვედრა ელჩებთან, სხვა პარტიებსაც ჰქონდათ ასეთი შეხვედრები და იყო თხოვნა 20 ივნისის მოვლენების შემდგომ, რომ ყველამ ხელი შევუწყოთ ქვეყანაში მშვიდობას, სტაბილურობას, სწორედ ამიტომ შევარჩიეთ სპორტის სასახლე.

# სადაზღვევო ბროკერებს ახალი მოთხოვნები უწესდებათ




დაზღვევის შესახებ კანონში ცვლილებები შედის. კანონპროექტით, რომელსაც პარლამენტის კომიტეტმა მხარი სამი მოსმენით უკვე დაუჭირა, დგინდება სადაზღვევო ბროკერის რეგისტრაციის შემდგომი საქმიანობის სახელმწიფო კონტროლისა და ზედამხედველობის მექანიზმები.

კერძოდ, დადგინდა სადაზღვევო ბროკერის მიერ საქმიანობის განხორციელებისას მომხმარებლისათვის სავალდებულო ინფორმაციის მიწოდების ვალდებულება, ინფორმაციის მინიმალური მოცულობა და მისი მიწოდების ფორმა.

დამატებით, მზღვეველი (ასევე უცხო ქვეყნის სადაზღვევო ორგანიზაციის ფილიალი/წარმომადგენლობა) ვალდებული ხდება, გამოაქვეყნოს ინფორმაცია აქციების 10 პროცენტის ან 10 პროცენტზე მეტის უშუალო მესაკუთრისა და მნიშვნელოვანი წილის მფლობელი ბენეფიციარი მესაკუთრის შესახებ.

კანონპროექტით, სადაზღვევო ბროკერი ვალდებულია ფლობდეს კაპიტალის / საგარანტიო ფონდის მინიმალურ ოდენობას, რომელიც საშუამავლო საქმიანობის განხორციელების ყველა ეტაპზე უწყვეტად უნდა იყოს განთავსებული საქართველოში ლიცენზირებულ საბანკო დაწესებულებაში. ამასთანავე, აღნიშნული ფულადი სახსრები საქართველოში ლიცენზირებულ ბანკში განთავსებული უნდა იყოს არანაკლებ 1-წლიანი პერიოდულობით. სავარაუდოდ თანხის მოცულობა 30.000 ლარის ფარგლებში იქნება.

სადაზღვევო ბროკერი ვალდებული ხდება, დაზღვევის ზედამხედველობის სამსახურს წარუდგინოს წლიური აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგება.

კანონით დადგენილი ნორმების დარღვევის შემთხვევაში, ბროკერებზე გავრცელდება ფულადი ჯარიმები.

forbes.ge

# გუბაზ სანიკიძე: „ნეტა დაგვიჭიროს ივანიშვილმა, ნახავს, რაც მოხდება!“

**მას შემდეგ, რაც პროკურატურამ 20 ივნისის მოვლენებზე საქმე გადააკვალიფიცირა და გამოძიება სახელმწიფო გადატრიალების მცდელობის მუხლით დაიწყო, პოლიტიკურ წრეებში პოლიტიკური დაჭერებისა თუ პოლიტიკური რეპრესიების მოლოდინი გაჩნდა. რამდენად პრეცედენტული იქნება ეს საქმე და გაბედავს თუ არა ხელისუფლება ამ რისკზე წასვლას, ეს არის მთავარი კითხვა, რომელიც საზოგადოებაშია.**

**ამ და სხვა საინტერესო საკითხებზე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ბიძინა ივანიშვილის ყოფილი პარტნიორი გუბაზ სანიკიძე საუბრობს.**

იაგო ნაცვლიშვილი



***– 20 ივნისის მოვლენების საქმე პროკურატურამ სახელმწიფო გადატრიალების მცდელობის მუხლით გადააკვალიფიცირა. „ოცნების“ პირობებში უკვე მეოთხე საქმეა აღძრული 315-ე მუხლით, თუმცა ყველა წინა საქმე თაროზეა შემოდებული. ამჯერად რა მოლოდინი გაქვთ?***

– მე რა მოლოდინი მაქვს, ვერ გეტყვით, იმიტომ, რომ ეს ხელისუფლება ლოგიკას არ ექვემდებარება, რადგან ბიძინა ივანიშვილს აშკარად ფსიქიკური გადახრები აქვს. რაც შეეხება სახელმწიფო გადატრიალების მცდელობას, ნამდვილად იყო ამის მცდელობა, ოღონდ ეს იყო ბიძინა ივანიშვილის მხრიდან.

როგორც იკვეთება, ბრძანება გაცემული აქვს თვითონ ივანიშვილს. რადგანაც ის არც სახელმწიფო მეთაურია და არც მთავრობის მეთაური და ის არის კერძო პირი, ერთ-ერთი პარტიის ხელმძღვანელია და, თუ ეს ბრძანება მისი გაცემულია, სახეზე გვაქვს სახელმწიფო გადატრიალების მცდელობა. აქედან გამომდინარე, ბიძინა ივანიშვილი უნდა მიეცეს პასუხისგებაში, მორჩა და გათავდა. ძალიან მარტივად არის საქმე.

გახარია ვენებს იჭრის და არ ამბობს, რომ ბრძანება მისი გაცემულია. მაშინ ვინ გასცა ბრძანება? – ეს შეკითხვა ისმის. კულტურისა და განათლების მინისტრი ხომ არ გასცემდა ბრძანებას? ბიძინას გაცემულია! ამიტომ მას აუცილებლად მოუწევს სასამართლოს წინაშე წარდგომა და გახარია იქნება მოწმე. ასე იქნება ეს.

***– რუსეთიდან ძალიან გააქტიურდა განცხადებები განსაკუთრებით ჩვენს ოკუპირებულ ტერიტორიებთან მიმართებით, რომ აფხაზეთი და ცხინვალის რეგიონი საქართველო არ არის. ამ ორ ფაქტს შორის – გავრილოვის ჩამოყვანასა და ამ განცხადებებს შორის პირდაპირი ბმაა?***

– რა თქმა უნდა. რუსეთს დავალება აქვს მიცემული, მაგრამ ივანიშვილმა ეს დავალება ვერ შეასრულა, იმიტომ, რომ ოროსანია. ბიძინა ივანიშვილი ყველაფერში ოროსანია და ახლა ცდილობს, დაამახსოვროს თავი, რომ ერთგული ყმაა და რასაც ამბობს რუსული მხარე, ყველაფერს უსრულებს. თქვა რუსულმა მხარემ, დასაჯეთ მომიტინგეებიო და მომიტინგეები დაისაჯნენ, დაიჭირეთ ოპოზიციის ლიდერებიო და აპირებენ ოპოზიციის ლიდერების დაჭერას. პუტინის პირდაპირი მამლუქია.

***– წავლენ იმაზე, რომ ოპოზიციის ლიდერები დაიჭირონ?***

– ოხ, ნეტა მაგას იზამდნენ, ნეტა მაგას გააკეთებდნენ, როგორ გითხრათ?!

***– რატომ?***

– იმიტომ, რომ ეს იქნება მაგათი ბოლო სტადია. ხომ გესმით, აქ თუ პოლიტიკური დევნა დაიწყო, დასავლეთი რას იზამს?! უკვე რას შვრება დასავლეთი და მერე რა იქნება, ხომ გესმით?!

***– რას?***

– არაფერი, დიქტატურად გამოცხადდება და უახლოეს პერიოდში... თქვენ როგორ გგონიათ, ბიძინა ივანიშვილმა ოპოზიციური ლიდერები რომ დაიჭიროს, ის ახალგაზრდები გაჩერდებიან და შეეშინდებათ?!

***– ელოდებით, რომ პროტესტი უფრო მძლავრი გახდება და საბოლოოდ დაამთავრებს „ქართული ოცნების“ ხელისუფლებას?***

– რა თქმა უნდა. ახლა ზაფხულია და ყველაზე ცუდი პერიოდია სამიტინგოდ, მაგრამ შემოდგომა წინ გვაქვს. საქართველოში კრიზისები ყოველთვის შემოდგომაზეა. ეს თაობა აღარ გაჩერდება.

ბიძინა ივანიშვილს დაემართა ის, რასაც ვაფრთხილებდით წლების განმავლობაში. ის ძალა უშვებს ხელისუფლებიდან, რომლისგანაც არ მოელოდა. ყველას ჰგონია, რომ ახალგაზრდობა მიძინებულია, არაფერი არ აინტერესებთ და ა.შ. პოლიტიკური ლიდერები კი არ არიან მისთვის საშიში, საშიშია საქართველოს მომავალი. ბიძინა ივანიშვილის მთავარი მტერი არის საქართველოს მომავალი. მომავალს ვერავინ ვერ უგებს და ვერავინ ვერ ამარცხებს.

***– პროტესტის გამომხატველი ახალგაზრდების წინააღმდეგ დაიწყეს უკვე მუშაობა. ბოტების გამოყენება და ა.შ. ეს რას მისცემს ხელისუფლებას?***

– ეს ძალიან ძვირი დაუჯდება. იმის მაგივრად, რომ რაღაცებზე ბოდიში მოიხადოს, ყალბი სინანული მაინც გამოთქვას, გადააყენოს გახარია და დაიწყოს პოლიტიკური კონსულტაციების ოპოზიციურ ძალებთან, რომ არჩევნები ნორმალურად ჩატარდეს, ის ამის ნაცვლად რეპრესიებზე გადადის.

ეს ფასად დაუჯდება მას. ქართული ხელისუფლებებიდან ყველაზე ცუდად დაამთავრებს ბიძინა ივანიშვილი.

***– მოწმის ჩვენებაში, სადაც არაერთი პოლიტიკოსის გვარი ფიგურირებს, თქვენი სახელი და გვარიც არის. ელოდებით, რომ თქვენც დაგიჭერენ?***

– როგორ არ ველოდები.

***– თუ წავიდა ივანიშვილის ხელისუფლება*** სხვას ვერაფერს დავუპირისპირებთ. რაც შეეხება რუსეთთან ურთიერთობებს, ივანიშვილს რუსეთთანაც გაფუჭებული აქვს ურთიერთობები.

7 წელი ჩუმ-ჩუმად თხრიდნენ, მიაჩვიეს ეს ქართველები რუსებს, ისევ წაუძინეს ქართველებმა, ისევ ხაჭაპური და რაღაცები, ვითომ მინავლდა, ხომ ატყობდით, აფხაზეთისა და ცხინვალის მივიწყება რომ ხდებოდა.

ისეთი სისულელე ჩაიდინეს ზაქრო ქუცნაშვილმა და კობახიძემ, რომ უცბად მოსწყდა საქართველო რუსეთს, მე მგონი, საბოლოოდ. რაც მთავარია, საქართველოში პოლიტიკური პროცესების მთავარი აქტორი და სოლისტი არის ქართველი ახალგაზრდობა, თავისუფლებაში დაბადებული ახალგაზრდობა, მე ამათ ვეძახი უდაბნოს თაობას, ანუ მოსეს თაობას, სივრცესა და თავისუფლებაში დაბადებულ ახალგაზრდობას.

ამ ხალხს ვერავინ მოერევა.

***– დღევანდელი გადმოსახედიდან ხომ არ გგონიათ, რომ ბიძინა ივანიშვილი ხელისუფლებაში რუსეთის კარნახით მოვიდა? როცა დრო გავიდა, ეს დაინახეთ?***

– ზუსტად ასე იყო. თავიდან შენიღბული იყო ეს ყველაფერი. კოალიცია გააკეთა, პროდასავლურ პარტიებთან ურთიერთობები დაიწყო, მაგრამ 2016 წელს დაშალა თვითონვე ეს კოალიცია, რადგან ეს აღარ სჭირდებოდა, იმიტომ, რომ ჩვენ ყველა მას ხელს ვუშლიდით. კოალიციის პირობებში ის ამ სისულელეებს ვერ ჩაიდენდა, რაც მან გააკეთა, ამიტომ, თავისი ჭკუით, პოლიტიკურ მოუსავლეთში გაგვიშვა, ის კი არ იცის, რომ პოლიტიკოსი სახლში კი არ მიდის, ქუჩაში გადის. მაგას ბანკი ჰგონია, თავის კონკურენტებს რომ გუდავდა და მერე ხმას არ იღებდნენ. მიიღო ერთმმართველობა, ავტორიტარიზმი და მის ჭკუაზე მოწყობილი ქვეყანა, ხომ ხედავთ, მის ჭკუაზე მოწყობილი საქართველო რა დღეშია. აბსოლუტურად ყველანაირი სახელმწიფოებრივი იმუნიტეტისგან არის დაცლილი. როგორი ნიჭიერია, ხომ ვნახეთ? არის უტვინო და უდიერი კაცი, რომელმაც ფული იშოვა. მე მგონი, დაარქვეს, რომ მილიარდერია. უკვე ეჭვი იმაშიც მეპარება, რომ ის ფული მისი იყოს.

ცუდ საქმეს კარგად რომ აკეთებ, სახიფათო ის არის, მაგრამ ცუდ საქმეს ცუდად რომ აკეთებ, ის საქმე უკვე სახიფათო აღარ არის. ბიძინა იმდენად უნიჭო კაცია, რომ ცუდ საქმეს ცუდად აკეთებს და ყველაფერი ზედაპირზე დევს, ამიტომ, რუსეთთანაც გაფუჭებული აქვს ურთიერთობა, რუსებისთვის ის უკვე კოჭლი იხვია. მას გაფუჭებული აქვს ურთიერთობა ყველა მიმართულებით. ჩრდილოეთშიც გაუფუჭდა ურთიერთობა, დასავლეთშიც და, რაც მთავარია, ქვეყნის შიგნით აქვს გაფუჭებული ურთიერთობა.

ეს იცის ჭარბმა დოზამ და სესიაშვილის აუზში ასხია თუ არა წყალი, იმან.

## „პუტინის ოროსანმა მამლუქმა ივანიშვილმა დავალება ვერ შეასრულა, ახლა ცდილობს დაარწმუნოს, რომ ერთგული ყმაა“

***პოლიტიკურ დაჭერებზე, მიიღებს თუ არა რევოლუციურ სცენარს?***

– რა თქმა უნდა, მიიღებს. აბა, რა გგონიათ, საქართველო იმდენად თვითკმარი ქვეყანაა, რომ ჩავიკეტოთ, არავინ შემოვუშვათ და გავუშვათ. რაზე ვლაპარაკობთ საერთოდ?! პოლიტიკური რეპრესიებს ყველა დიქტატორი გადაჰყვა და ბიძინა ვინ მიგდია?! მაშინვე გადაჰყვება და მიიღებს დიდ პალოს.

***– ახსენეთ დასავლეთი, გაძლიერებულია მმართველ გუნდზე ზეწოლა დასავლეთის მხრიდან?***

– შაბათს „ლიბერალმა ინტერნაციონალებმა“ როგორი დადგენილება მიიღეს, ხომ ნახეთ?! მანამდე იყო ჟურნალი „ეკონომისტი“, რომელიც ყველაზე გავლენიანი ჟურნალია ბრიტანეთში, იქამდე იყო ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტი, იყო ამერიკელი კონგრესმენებისა თუ ევროპელი დეპუტატების განცხადებები. ყველაფერი წინ არის, ჯერ სად ხართ!

***– ამით უნდა ავხსნათ ისიც, რომ მელია არ დააპატიმრეს?***

– რა თქმა უნდა. „ეკონომისტის“ სტატია არის დიაგნოზი. ჩვენც კი არ ვეძახით ბიძინა ივანიშვილს, რაც „ეკონომისტმა“ დაარქვა მას. ოლიგარქი, ქვეყნის მიმტაცებელი, რუსეთის გავლენების განმახორციელებელი და ა.შ.

***– რუსულ პოლიტიკას რა უნდა დაუპირისპიროს ნორმალურმა ხელისუფლებამ?***

– რუსულ პოლიტიკას უნდა დავუპირისპიროთ შენება, აღმშენებლობა, სწავლა-განათლება, ქვეყნის ეკონომიკური განვითარება და ა.შ.

# სამუშაო ადგილები, სადაც უმაღლესი განათლება საჭირო არ არის

Apple-ში მუშაობის დასაწყებად განსაკუთრებული აკადემიური წარმატება საჭირო სულაც არ არის – ამის შესახებ Business Insider-ი წერს. როგორც გამოცემას Apple Inc-ის აღმასრულებელმა დირექტორმა ტიმ კუკმა განუცხადა, კომპანიის თანამშრომელთა ნახევარს უმაღლესი განათლების 4-წლიანი ხარისხიც კი არ აქვს.

მსგავსი მიდგომა აქვს LinkedIn-საც, რომელიც თანამშრომლის აყვანისას მისგან ბაკალავრის ხარისხს სულაც არ ითხოვს. ამასთან, Apple-სა და Google-ს მშობელ კომპანიას Alphabet-ს ჰყავს თანამშრომლები, რომელთაც მხოლოდ უმაღლესი სკოლის დიპლომი აქვს. იგივე მდგომარეობაა Netflix-შიც.

იმისათვის, რომ ჩამოთვლილ გიგანტ ან სხვა უდიდესი შემოსავლების მქონე კომპანიებში დასაქმების შანსი ბაკალავრის ხარისხის მიღების გარეშე გაზარდოთ, LinkedIn-მა დაინტერესებული პირებისთვის შეადგინა 20 სამუშაო ადგილის ჩამონათვალი, რომლის მისაღებად დასაქმებულ პირებს კოლეჯის დიპლომი სულაც არ დასჭირვებიათ.

გაყიდვების კონსულტანტი – Business Insider-ის ინფორმაციით, მათ 7,8%-ს ბაკალავრის 4-წლიანი დიპლომი არ აქვთ. გამოცემა აღნიშნავს, რომ ტოპკომპანიებში, სხვა პროფესიებთან შედარებით, ყველაზე ხშირად, გაყიდვების კონსულტანტებს აქვთ მხოლოდ უმაღლესი სკოლის დიპლომი.

ჯანდაცვის კონსულტანტები – დიდ და წარმატებულ კომპანიებში ჯანდაცვის ასისტენტებს 2,5-ჯერ უფრო ხშირ შემთხვევაში აქვთ უმაღლესი სკოლის ან ასოცირებული განათლების დიპლომი, ვიდრე სხვა პროფესიების წარმომადგენლებს.

მარკეტინგის წარმომადგენელი – Business Insider-ის ინფორმაციით, მათ 9,4%-ს ბაკალავრის ხარისხი მიღებული არ აქვს.

ინფორმაციული ტექნოლოგიების კოორდინატორი – ამ პოზიციაზე უმსხვილეს კომპანიებში დასაქმებული პირებიდან 9,7%-ს არ აქვს უმაღლესი განათლება მიღებული.

კოსმეტოლოგი – ტოპკომპანიებში მათი მაჩვენებელიც 9,7%-ს შეადგენს. რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ეს ადამიანები თავიანთ საქმეს წარმატებით ასრულებენ.

დაზღვევის აგენტი – მათ შემთხვევაში, უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დიპლომი დასაქმებულთა 10%-ს არ აქვს.

ქსელის ოპერაციების ანალიტიკოსი – ამ პოზიციაზე მსხვილ კომპანიებს 4-წლიანი ბაკალავრის დიპლომის წარდგენა სულაც არ ესაჭიროებათ, თუ კადრი საქმეს კარგად ასრულებს. შესაბამისად, ამ სამსახურებში დასაქმებულთა 10,7%-ს აღნიშნული დოკუმენტი სულაც არ აქვს ან, სავარაუდოდ, არასდროს უსწავლია უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში.

კლიენტთა მომსახურების წარმომადგენელი – ეს სამსახური როგორც საქართველოში, ისე უცხოეთში ყოველთვის ითხოვს კადრებს. მნიშვნელოვანი არ არის, მათ უმაღლესი განათლება ჰქონდეთ მიღებული, მთავარია, კარგად კომუნიკაცია შეეძლოთ.

მოლარე – იგივე შეიძლება ითქვას მოლარე ოპერატორებთან დაკავშირებითაც. ტოპ კომპანიებში დასაქმებულთა 11,7%-ს კი უმაღლესი განათლება მიღებული სულაც არ აქვს.

საზოგადოებრივი უსაფრთხოების ოფიცერი – პოლიციელების ვალდებულებაა, ჩვენი უსაფრთხოება დაიცვან, ამისთვის კი უმაღლესი განათლება სულაც არ სჭირდებათ. მთავარია, ჰქონდეთ უნარები და ცოდნა, რომელიც პოლიციის ოფიცერს სჭირდება და მოტივაცია, რომ ჩვენი უსაფრთხოების დაცვა მათთვის პრიორიტეტი იყოს.

მძღოლი – ამ პოზიციაზე დასაქმებულთა 12,6%-ს ბაკალავრის დიპლომი არ აქვს და ეს თავიანთი მოვალეობის წარმატებით შესრულებაში ხელს სულაც არ უშლით.

ტექნიკური მხარდაჭერის სპეციალისტი – ტოპ კომპანიებში ამ პოზიციაზე დასაქმებულთა 13,4%-ს უნივერსიტეტის დიპლომი არ აქვს. მთავარია, კარგად ერკვეოდნენ ტექნოლოგიებში და დაკისრებული ვალდებულება, წარმატებით შეასრულონ.

სურსათის სპეციალისტი/ტექნოლოგი – როგორც არ უნდა გაგიკვირდეთ, მათი 13,8% ბაკალავრის დიპლომს სულაც არ ფლობს. როგორც უკვე აღვნიშნეთ, მთავარია, საქმის ცოდნა და სიყვარული. ამ შემთხვევაში, კომპანიები, რომლებიც დიდ შედეგებზე გასვლისთვის არიან ორიენტირებული, აშშ-ში აუცილებლად დაგასაქმებენ.



ინფორმაციული ტექნოლოგიების ტექნიკოსი – ამ ძალიან საჭირო და მოთხოვნადი სპეციალობის მქონე პირების 17,3%-ს ტოპ კომპანიებში უმაღლესი განათლების დიპლომი არ აქვთ.

კომპიუტერული ქსელის ტექნიკოსი – ამ მიმართულებით დასაქმებულთა 17,3% -ს უმაღლესი განათლების ხარისხი არ აქვს მიღებული, თუმცა ისინი ტოპკომპანიებში ერთ-ერთი ყველაზე დაფასებული თანამშრომლები არიან.

ტელეკომუნიკაციების ტექნიკოსები – მათი 18% წარმატებულ კომპანიებში ბაკალავრის დიპლომის გარეშე მუშაობს. აშშ-ში ამ ვაკანსიაზე თანამშრომლების მიღება ხშირად ცხადდება.

წარმოების ტექნიკოსი – დიახ, სწორედ ტექნიკური მიმართულებაა ერთ-ერთი ყველაზე მაღალანაზღაურებადი და მოთხოვნადი, ამიტომ, თუ გაინტერესებთ, ამ მიმართულებით პროფესიული განათლების მიღებისგან თავი არ შეიკავოთ. Business Insider-ის მონაცემებით, აშშ-ში ამ სფეროში დასაქმებულთა 18,7%-ს ბაკალავრის ხარისხი არ აქვს.

შეფმზარეული – კარგი შეფმზარეული საქართველოშიც და უცხოეთშიც ძალიან მოთხოვნადი და დაფასებულია. თუ ბაკალავრის დიპლომი არ გაქვთ, მაგრამ გემრიელად ამზადებთ და ვიზუალზეც ზრუნავთ, მაღალანაზღაურებადი სამსახურის გარეშე სულაც არ დარჩებით. აშშ-ში უმაღლესი კლასის რესტორნებში დასაქმებულ შეფმზარეულთა მხოლოდ 24,9%-ს აქვს უმაღლესი სკოლის ან ასოცირებული დიპლომი.

ელექტრიკოსი – ალბათ, ძნელად თუ მოიძებნება ავტომობილის მფლობელი, რომელსაც ელექტრიკოსის დახმარება არ დასჭირვებია. პროფესიონალებს კი საკმაოდ მაღალი შემოსავალი აქვთ. თუ ელექტრიკოსის პროფესიის უფრო სიღრმისეულად შესწავლა გსურთ, შეგიძლიათ, პროფესიულ სასწავლებლებს მიაკითხოთ. საზღვარგარეთ ეს პროფესია საკმაოდ მოთხოვნადია.

მექანიკური დიზაინერი – თუ კრეატიული და მოტივირებული ხართ, ამავდროულად, თქვენი საქმე კარგად იცით, ამ მიმართულებით მომუშავე კომპანიები დაგასაქმებენ და კარგადაც გადაგიხდიან. ამავდროულად, როგორც Business Insider აღნიშნავს, პროფესიონალებს უმაღლესი განათლების დამადასტურებელ დიპლომს სულაც არ სთხოვენ.

ბ3ნ

# სოსო ცინცაძე: „ივანიშვილის მიზანია ბლოკების დაშლა“

ნათია ხურცილავა

პოლიტოლოგი სოსო ცინცაძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.

***— ბატონო სოსო, პოლიტოლოგების ნაწილი ფიქრობს, რომ არსებული სიტუაციიდან ყველაზე კარგი გამოსავალი მთავრობის დათხოვნა და ბიძინა ივანიშვილის პრემიერის პოსტზე დაბრუნება იქნებოდა. ეს რამდენად რეალურია?***

— ეს იდეა არ არის ახალი. რამდენი კრიზისიც იქნება, იმდენჯერ გაისმის ამ იდეის შესახებ. თუმცა, მე ძალიან მეპარება ეჭვი, რომ ბიძინა ივანიშვილი პრემიერის პოსტს დაუბრუნდეს. ივანიშვილი მაშინ წავიდა პრემიერობიდან, როდესაც მისი რეიტინგი მზეს ეწეოდა და ახლა როგორ წარმოგიდგენიათ, რომ დაბრუნდეს?! ეს ალბათ უფრო მაისის ღამის სიზმარს ჰგავს.

დღევანდელ სიტუაციაში კამიკაძე უნდა იყოს ივანიშვილი, რომ ასე ღიად და საჯაროდ დაბრუნდეს, თან – ნულოვანი საარჩევნო ბარიერის პირობებში.

განვმარტავ, რას ვგულისხმობ – პროპორციული სისტემა ნულოვანი ბარიერით ვერანაირ პროგნოზირებას ვერ ექვემდებარება, თუ რა კონფიგურაციისა და ანატომიის პარლამენტი შეიძლება მივიღოთ 2020 წელს. შეიძლება, ხელისუფლებისთვის ძალიან სასარგებლო და, ასეთივე მაღალი ალბათობით, საერთოდ ყელისგამომჭრელი იყოს.

ამ მდგომარეობაში ადამიანმა, რომელიც თავისი ბუნებით პოლიტიკოსი არ არის, მეტიც, ეზიზღება პოლიტიკა, რთულია, ეს გადაწყვეტილება მიიღოს.

ძალიან მძიმე წინასაარჩევნო პერიოდი ელის „ოცნებას“. მე პარალელს გავავლებდი გვიან შევარდნაძის პერიოდთან. მმართველი პარტია ორი მთავარი გამოწვევის წინაშე დგას.

პირველი, სახელმწიფო გადატრიალების ბრალდება ოპოზიციური ლიდერების მიმართ არ არის მარტივი ბრალდება. ხელისუფლებამ ყველაფერი უნდა გააკეთოს იმისთვის, რომ ეს ყველაფერი დამაჯერებელი იყოს, როგორც ჩვილი ბავშვის ცრემლი. თუმცა, რიგით ამომრჩეველს საქართველოში ასეთი ბრალდებების მიმართ სრულიად სხვა გამოცდილება აქვს და მე აქ ჭიკაიძის მიერ დაანონსებული საბურავებით დაგეგმილი გადატრიალება მახსენდება.

და, რაც მთავარია, საერთაშორისო საზოგადოებისთვის ეს ყველაფერი უნდა იყოს დამაჯერებელი, როგორც ორჯერ ორი ოთხია. სცილასა და ქარიბდას შორის უნდა გაიაროს ხელისუფლებამ.



მეორე გამოწვევა არის „ოცნების“ დაკარგული ამომრჩეველი. თითქმის შეუძლებელია, რომ ამ ერთ წელიწადში „ქართულმა ოცნებამ“ შეძლოს ამ ამომრჩევლის დაბრუნება. რა უნდა მოხდეს, რომ ეს რეალობად იქცეს?! მე ამაზე პასუხი არ მაქვს და, როგორც ჩანს, არც თავად აქვთ. საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ ზვიად ძიძიგურმა გულწრფელად თქვა, თუ არაფერი შევცვალეთ, ჩვენ ხმას ვინ მოგვცემსო!

ამ გამოწვევების ფონზე ივანიშვილის დაბრუნება გამორიცხულია! და თუ მაინც დაბრუნდა და არჩევნები წააგო – ჰოი, საშინელებავ, მერე ნახეთ მიშა სააკაშვილის აღტყინება. ეს იქნება საშინელი სანახავი.

***— ბატონო სოსო, არსებობს მოსაზრება, რომ ნულოვანი ბარიერი და საარჩევნო ბლოკების აკრძალვა ნაციონალური მოძრაობის წინააღმდეგ მიმართული ნაბიჯია. თუ საარჩევნო ბლოკები არ იქნება, მაშინ ნაციონალური მოძრაობა გაერთიანებულ ოპოზიციასთან ერთად კენჭს ვერ იყრის. ამ ნაბიჯით პოლიტიკური სიმძიმის ცენტრი იშლება. რას იტყვით?***

— არ არის გამორიცხული, რომ ეს ვერსია ახლოს იყოს რეალობასთან. ამ მოსაზრებაში არის რაციონალური მარცვალი. როგორც ჩანს, ივანიშვილმა იმ ერთობაში უფრო მეტი საფრთხე დაინახა, ვიდრე პროპორციულ სისტემაში. ის ფიქრობს, რომ პარლამენტში პატარ-პატარა პარტიებს შეიყვანს და მათთან მოლაპარაკებით მაინც შეინარჩუნებს პოზიციებს. ამიტომ ეს ვარიანტი ამჯობინა.

ეს იყო პოლიტიკური სვლა, ერთგვარი პრევენცია, რათა დიდი საარჩევნო ბლოკები დაშალოს.

# ქართველი მეღვინეები დახმარებას ხელისუფლებას სთხოვენ

მარიამ მჭედლიშვილი

მას შემდეგ, რაც პუტინმა მიიღო გადაწყვეტილება საქართველოს წინააღმდეგ საავიაციო და ტურისტული ემბარგოს 8 ივლისიდან შემოღების შესახებ, საეჭვო გახდა ქართული პროდუქციის რუსეთში გატანა. ქართულ ღვინოზე კონტროლი უკვე გამკაცრებულია, რუსეთის მაკონტროლებელმა ორგანომ შესაბამისი შენიშვნებიც გამოთქვა.

საქართველოს ხელისუფლება, რომელმაც საკუთარი ქვეყნის ეკონომიკა თითქმის მთლიანად მიაბა ქვეყანას, რომელთანაც დიპლომატიური ურთიერთობები გაწყვეტილი აქვს, თავის შეცდომას არ აღიარებს. კეთდება განცხადებები და მინიშნებები იმაზე, რომ საქართველოს რუსეთთან ტურისტული და სავაჭრო თანამშრომლობის გაგრძელება უნდა.

კახეთში ჩასული სოფლის მეურნეობისა და ეკონომიკის მინისტრები მეღვინეებს, ფერმერებსა და პატარა სასტუმროების მფლობელებს შეხვდნენ. მათ მთავრობას თავიანთი წუხილი გაუზიარეს. მეღვინეები დახმარებას ხელისუფლებას სთხოვენ. თავის მხრივ, „ოცნება“ ყველა გზით ცდილობს, შეუთვალოს ოკუპანტ სახელმწიფოს, რომ მასთან ურთიერთობის გარეშე ქვეყანა დაეღუპებათ.



რუსეთმა ქართულ ღვინოზე, მინერალურ წყალსა და სხვა სურსათზე ემბარგო 2006 წელს შემოიღო. 2013 წელს ვაჭრობა აღდგა.

მაშინდელი როსპორტებნადზორის ხელმძღვანელი გენადი ონიშჩენკო ამჟამად სახელმწიფო დუმის დეპუტატია.

ონიშჩენკო გადაჭრით მოითხოვს ქართული ღვინის რუსეთში შეტანის აკრძალვას. იგი არ მალავს, რომ ეს პოლიტიკური ნაბიჯი იქნება:

– ქართული ღვინის აკრძალვა აუცილებელია, ვინაიდან ეს საქართველოს ეკონომიკის ძირითადი მუხლია.

გენადი ონიშჩენკო აღნიშნავს, რომ მისი ინიციატივით დაწესებული იმდროინდელი ემბარგო წაადგა საქართველოსა და მის მეღვინეობას:

– როცა ავკრძალე, ეს იყო ტოტალური ქირურგია და არა რომელიღაც თერაპიული მკურნალობა. ამ შოკის შემდეგ ქართული მეღვინეობა აღდგა. ისინი პასუხისმგებლიანები გახდნენ, ბევრი რამის მოდერნიზება მოახდინეს, ბევრი რამ მოიშორეს.

ონიშჩენკო იმასაც კი ამბობს, რომ მას საქართველოში ძეგლი უნდა დაუდგან.

აკრძალვის მიუხედავად, თბილისში მაინც არიან ტურისტები რუსეთიდან. ამ დროს კრემლის ექსპერტები ირწმუნებიან, რომ საქართველოს არ შერჩება ორპირობა. მათი თქმით, ერთი მხრივ, საქართველოს ხელისუფლება ეპატიჟება რუსეთის მოქალაქეებს, მეორე მხრივ კი აცხადებს, რომ ბოლო პერიოდში მომხდარი არეულობა და რუსოფობია სამართლიანი პროტესტია. ამ ექსპერტების თქმით, ამან აღაშფოთა რუსეთის მთელი მოსახლეობა, რომელიც ბოიკოტს უცხადებს საქართველოს.

რუსეთის ემბარგო დაგმო ევროკავშირმა, ასევე აშშ-ის რწმუნებულმა საქართველოში ელიზაბეტ რუდმა.

ელიზაბეტ რუდის შეფასებით, რუსეთის ზომები საქართველოს მიმართ უსამართლო, არასაჭირო და არაპროპორციულია.

– როცა გმობს რუსეთის ზომებს საქართველოს წინააღმდეგ, აშშ-ის ხელისუფლებამ უნდა გაიხსენოს თავისი სანქციები რუსეთის წინააღმდეგ, – მიმართა ელიზაბეტ რუდს რუსეთის საგარეო უწყებამ.

ეს განცხადებაც ადასტურებს, რომ რუსეთის ემბარგო საქართველოს წინააღმდეგ პოლი-



ტიკური სახისაა და რუსეთი ამით, ფაქტობრივად, აშშ-ს ებრძვის.

საქართველოს დროდადრო დასჯა რუსეთის პოლიტიკის შემადგენელია. კრემლს აწყობს, რომ საქართველო, განსაკუთრებით, მისი ეკონომიკა, მასზე იყოს დამოკიდებული.

ამ მიმართულებით რუსეთს ხელი შეუწყო სააკაშვილმა, რომელმაც რუსებისთვის ვიზები მოხსნა და ივანიშვილმა, რომელმაც ჩრდილოელ მეზობელთან სავაჭრო და ტურისტული ურთიერთობები ააყვავა. აცნობიერებენ თუ არა ამ დამოკიდებულების საშიშროებას ქართველი მეღვინეები და ფერმერები, ძნელი სათქმელია.

# რა ღირს ზაფხულში დასვენება საქართველოს მთის კურორტებზე



ზაფხულში, ზღვის ანალოგიურად, დამსვენებლებში დიდი პოპულარობით სარგებლობს საქართველოს მთის კურორტებიც. ბაკურიანში, გუდაურში, ბორჯომსა და მესტიაში დამსვენებლები უკვე არიან. როგორც საოჯახო სასტუმროების წარმომადგენლებმა „ბიზნესპრესნიუსს“ განუცხადეს, ივლის-აგვისტოში თითქმის ყველა ნომერი დაჯავშნილია.

გუდაურში მდებარე საოჯახო სასტუმრო „ხის სახლში“ „ბიზნესპრესნიუსს“ განუცხადეს, ივლის-აგვისტოში ნომრები თითქმის მთლიანად დაჯავშნილია.

– რაც შეეხება ფასებს, ქართველებისთვის სხვა ფასი გვაქვს, უცხოელებისთვის კი – სხვა. უცხოელის შემთხვევაში ერთი ღამე ერთ ადამიანზე 60 ლარია, მაგრამ, თუკი მთლიანი სახლის აღება სურთ, მაშინ 400 ლარი იქნება გადასახადი, ქართველებისთვის კი 350 ლარია. ზაფხულში წინასწარი ჯავშნები უკვე გვაქვს. უცხოელებიდან ძირითადად არაბები ჩამოდიან, – აღნიშნა „ბიზნესპრენიუსთან“ საუბრისას საოჯახო სასტუმრო „ხის სახლის“ მფლობელმა.

– ჩემი სასტუმრო გუდაურამდე 10 კილომეტრშია. ზამთარში – 120 ლარად, ზაფხულში 80 ლარად ვაქირავებ 4 ადამიანზე. ჩემთან ძირითადად უცხოელები მოდიან – რუსები, ესპანელები, ჩეხები, უკრაინელები და ა.შ. – განაცხადეს „ბიზნესპრენიუსთან“ საუბრისას საოჯახო სასტუმრო „ზვიადის სახლში“.

რაც შეეხება ბაკურიანს, აქ საოჯახო სასტუმროში ერთი ღამის გატარება მინიმუმ 20 ლარი ღირს, ფასი კი კომფორტის მიხედვით იზრდება.

– ზაფხულში ჯავშნებით გვაქვს დატვირთული. ჩვენი საოჯახო სასტუმროა და უფრო მეტად ქართველები მოდიან. საერთო ჯამში, უცხოელები მხოლოდ 10%-ია. ზაფხულში ყველაზე დატვირთული პერიოდი 20 ივლისიდან 20 აგვისტომდეა. – განაცხადეს „ბიზნესპრენიუსთან“ საუბრისას „პრემიერ ჰაუსში“.

სვანეთში საოჯახო სასტუმროებში ერთ ადამიანს ღამეში მინიმუმ 40 ლარის გადახდა მოუწევს. ზოგიერთი სასტუმროს შეთავაზებაში მანქანით მომსახურება, ცხენით გასეირნება და კვალიფიციური გამყოლების მომსახურებაც შედის. როგორც ადგილობრივები „ბიზნესპრენიუსთან“ საუბრისას აცხადებენ, სვანეთს ხშირად უცხოელები სტუმრობენ.

– ჩემს სასტუმროში ფასები 20 ლარიდან იწყება 50 ლარამდე ადის. მხოლოდ ღამის გათევა 20-25 ლარია, ორჯერადი კვებით კი – 50 ლარი. კვირა არ გავა, უცხოელი რომ არ მოვიდეს. ზაფხულისთვის წინასწარი ჯავშნებიც გვაქვს. – განაცხადეს სასტუმრო „ხაიამში“.

ბორჯომში საოჯახო ტიპის სასტუმროს ფასი ადგილმდებარეობისა და დროის მიხედვით იცვლება. როგორც წესი, სასტუმროს ფასი ყველაზე მაღალი აგვისტოშია. ქალაქში თქვენ ნახავთ როგორც ძვირადღირებულ სასტუმროებს, ასევე მცირე ტიპის კოტეჯებსა და საოჯახო სასტუმროებს. საოჯახო ტიპის სასტუმროს მინიმალური ფასი კი 25 ლარიდან იწყება.

**ბპნ**

# ღვინის ეროვნული სააგენტო საექსპორტო ღვინოზე კონტროლს აძლიერებს

ღვინის ეროვნული სააგენტო საექსპორტო ღვინოზე კონტროლს აძლიერებს.

სააგენტო 50.000 ლარის გამარტივებულ შესყიდვას ითხოვს, რაც საექსპორტო ღვინისა და სპირტის პარტიებიდან სინჯების აღებასა და



ლაბორატორიულ შემოწმებაზე დაიხარჯება.

ღვინის ეროვნული სააგენტო დღეისათვის 5 ლაბორატორიასთან თანამშრომლობს, რომელთაც მინიჭებული აქვთ აკრედიტაცია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. ესენია: შპს „ღვინის ლაბორატორია; შპს „ნორმა“; შპს „ექსპერტიზა+“; შპს „მულტიტესტი“ და „საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი“.

არის კომპონენტები, რომლის შემოწმება ვერ ხერხდება საქართველოში აკრედიტებულ ლაბორატორიებში და ნიმუშები იგზავნება საზღვარგარეთ საერთაშორისო აკრედიტებულ ლაბორატორიებშიც.

აღსანიშნავია, რომ სააგენტომ ამავე მიზნით აპრილში 100.000-ლარიანი გამარტივებული შესყიდვა ითხოვა და თანხმობაც მიიღო.

**კომერსანტი**

# სუსმა ქრთამის აღების ფაქტზე ერთი პირი დააკავა

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანტიკორუფციული სააგენტოს თანამშრომლებმა ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან თანამშრომლობით, ქრთამის აღების ფაქტზე გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ „სურსათის ეროვნული სააგენტოს“ აჭარის რეგიონული სამმართველოს უფროსი ილია ს. დააკავეს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ ილია ს-მ საქართველოს ფარგლებს გარეთ მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის გასაყვანად საჭირო ვეტერინარული სერტიფიკატის გაცემისთვის ბიზნესმენს ქრთამის სახით მოსთხოვა და გამოართვა 3.300 ლარი.

გამოძიება ქრთამის აღების ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ის 338-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, რაც სასჯელის სახით 6-დან 9



წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს). გამოძიებას სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანტიკორუფციული სააგენტო აწარმოებს.

# ჯემალ გამახარია: „რუსთაველზე დაიმსხვრა მითი, რომ საქართველო რუსულ ოკუპაციას შეურიგდება“

გულიკო ბალაძე

**ჟენევის მოლაპარაკებები ჩაიშალა. დევნილების დაბრუნების შესახებ საკითხის დაყენებისთანავე რუსეთის დელეგაციამ მოლაპარაკების მაგიდა დატოვა.**
**რუსეთის მხრიდან ეს პირველი შემთხვევა არ არის – რუსეთი ყოველთვის უარს ამბობდა დევნილების დაბრუნებაზე. აფხაზეთიდან და ცხინვალის რეგიონიდან ძალადობით გამოდევნილ ადამიანებს, გასული საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისიდან მოყოლებული, საშუალება არ აქვთ, თავიანთი ოჯახის წევრების, წინაპრების საფლავებთან მივიდნენ და პატივი მიაგონ, უბრალოდ, საფლავებს მოუარონ. დიდი რუსეთი, რომელიც ქრისტიანობას იჩემებს, მათ ამის საშუალებას არ აძლევს. ამ თემებზე აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე ჯემალ გამახარია „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში საუბრობს.**

***– ბატონო ჯემალ, რატომ გარბის რუსეთი მოლაპარაკების მაგიდიდან?***

– სამწუხაროდ, ეს არ არის პირველი შემთხვევა. ახლა 48-ე რაუნდი იყო, რომელიც, ფაქტობრივად, ჩაიშალა. როგორც კი დევნილების დაბრუნების საკითხი დადგება, რუსები და სეპარატისტები მოლაპარაკების მაგიდიდან გარბიან. ოკუპანტის პოზიციიდან აქ ყველაფერი გასაგებია. ოკუპანტს ოკუპირებულ ტერიტორიაზე ქართველი მოსახლეობა არ სჭირდება.

აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში ქართველი მოსახლეობა რომ იყოს, მაშინ ოკუპაცია შეუძლებელი იქნება. აფხაზეთიდან და ცხინვალის რეგიონიდან ქართველი მოსახლეობის გამოძევება ოკუპაციის შედეგია. რუსეთი სეპარატისტებსაა ამოფარებული – თითქოს ქართველების დაბრუნება სეპარატისტებს არ უნდათ, თითქოს დევნილების დაბრუნება კიდევ უფრო გაართულებს სიტუაციას.

ამგვარი სისულელეებით რუსები ცდილობენ, საკითხი დღის წესრიგიდან მოხსნან და შეინარჩუნონ ის ვითარება, რომელიც არსებობს. უნდათ ოკუპაცია დარჩეს. ოკუპანტს სურს, გენოციდი და ეთნოწმენდა სათავისოდ გამოიყენოს, რათა ეს ტერიტორიები შეინარჩუნოს და მერე სამომავლოდ ამ ტერიტორიის ანექსია მოახდინოს.

***– აქამდე, ყოველი რაუნდის შემდეგ, ჩვენ ვიგებდით, რომ დევნილების დაბრუნებაზე საუბრის დაწყებისთანავე სეპარატისტები გარბოდნენ, ახლა ითქვა, რომ პირველებმა რუსეთის წარმომადგენლებმა დატოვეს მოლაპარაკება. ამით რუსეთი იმას აფიქსირებს, რომ სეპარატისტებს არაფერი ეკითხებათ და ისინი მათი მითითებით მოქმედებდნენ?***

– რა თქმა უნდა. მათ სცენარი წინასწარ აქვთ შემუშავებული, ვინ უნდა ადგეს პირველი, ვინ რა უნდა თქვას. ჟენევის მოლაპარაკებებზე გათამაშებებს წინასწარ შემუშავებული სცენარის მიხედვით ახდენენ. სამწუხაროდ, ასე იყო ადრეც და ასეა დღესაც.



***– ადამიანები თავიანთი სახლ-კარიდან არიან გამოდევნილი და, დღეს იქნება თუ ხვალ, რუსებს უნდათ თუ არა, ისინი თავიანთ სახლკარს უნდა დაუბრუნდნენ. მაინც რატომ გაურბიან ამ პრობლემას?***

– ოკუპირებულ ტერიტორიაზე დევნილების დაბრუნება იქნება პირველი ძალიან სერიოზული ნაბიჯი დეოკუპაციის გზაზე. ამიტომ ოკუპანტსა და სეპარატისტებს ეს არანაირად არ აწყობთ. სეპარატისტებს, გარდა იმისა, რომ არ აწყობთ (ყოველ შემთხვევაში, ამ ეტაპზე) დეოკუპაცია, ხელში ჩაიგდეს უზარმაზარი ქონება და არ უნდათ, ამ ქონებას გამოემშვიდობონ.

დევნილების დაბრუნება იმავდროულად ნიშნავს მათთვის ქონების დაბრუნებას, სახლების დაბრუნებასა თუ ახალი სახლების აშენებას. მათ კი ეს არ უნდათ. რასაკვირველია, ეს გამოიწვევს სტატუსის შეცვლასაც. მათი ახლანდელი სტატუსი – ე.წ. აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის დამოუკიდებლობა სუფთა ფორმალობაა. არავითარი დამოუკიდებლები ისინი არ არიან.

***– ქონებაზე რატომ არ ვჩივით სტრასბურის სასამართლოში? რატომ ვერ დავასრულეთ პროექტი „აფხაზეთი ჩემი სახლია“ და, მიღებული მონაცემებით, რატომ არ შევიტანეთ სტრასბურში საჩივარი რუსეთის წინააღმდეგ?***

– „საქართველოს კანონი ოკუპაციის შესახებ“ ცალსახად ადასტურებს დევნილი მოსახლეობის უფლებას იმ ქონებაზე, რომელიც არსებობს ოკუპირებულ ტერიტორიაზე. ყოველგვარი ყიდვა-გაყიდვა და გაჩუქება ბათილია. გარდა ამისა, გაეროს გენერალურ ასამბლეაზე ყოველწლიურად მიიღება რეზოლუცია ოკუპირებულ ტერიტორიებთან დაკავშირებით, სადაც ასევე ხაზგასმულია დევნილებისა და მათი შთამომავლების უფლება აფხაზეთში დარჩენილ ქონებაზე. ეს არის ხელშეუხებელი უფლება.

მე ვერ გაგცემთ დამაჯერებელ პასუხს იმაზე, დღემდე რატომ არ დასრულდა პროექტი „აფხაზეთი ჩვენი სახლია“. შემიძლია, თქვენი გაზეთის მეშვეობით ქართველ საზოგადოებასა და დევნილებს ვუთხრა, რომ ამ შემოდგომიდან დავიწყებთ აფხაზეთში დატოვებული ქონების შეფასებას, აღწერას. მეცნიერები და სპეციალისტები სრულფასოვან მასალას დადებენ.

ამას აუცილებლად მოჰყვება სარჩელები სტრასბურში და ჩვენი უფლებების საერთაშორისო სასამართლოს გზით დადასტურება. რატომ აქამდე არ გაკეთდა, ამაზე მე ვერ გიპასუხებთ, მაგრამ უმაღლესი საბჭო, მისი ახალი ხელმძღვანელობა უახლოეს მომავალში შეუდგება მუშაობას ამ მიმართულებით, ისევე, როგორც ბევრი სხვა მიმართულებით.

***– ხომ არ ჯობდა, ჯერ ახლობლების საფლავებზე დევნილების შეშვება მოგვეთხოვა განსაკუთრებულ დღეებში? თუმცა, ახლა ყველაფერი ჩაიშალა.***

– აღნიშნული საკითხები არაერთხელ დაისვა ჟენევაში, მაგრამ, სამწუხაროდ, დადებითი გადაწყვეტილება არ მიღებულა. ამაზე რამე დისკუსია, დავა და კამათი წარმოუდგენელია. ეს არის ადამიანის ელემენტარული უფლება, მოინახულოს თავისი წინაპრის საფლავი.

იმედი მაქვს, დღეს იქნება თუ ხვალ, წინაპრების საფლავებზე დევნილების შეშვების საკითხი გადაწყდება.

***– ქართველი ქრისტიანისთვის უპირველესია თავისი წინაპრების საფლავების მოვლა და პატივის მიგება. კომუნისტი გავრილოვი დიდი ქრისტიანივით რომ მოგვევლინა და ყველაფერი არია, რა ქრისტიანული ქვეყანაა რუსეთი, რომ ქართველებს საფლავების მონახულების უფლებასაც კი არ აძლევენ? ამ საკითხზე რუსეთის ოფიციოზის რომელიმე წარმომადგენელთან ოდესმე თუ გისაუბრიათ?***

– მე პირადად არ მისაუბრია ოფიციალური რუსეთის წარმომადგენელთან. მახსოვს შეხვედრები ომის პერიოდში, როდესაც სოხუმში ჩამოდიოდნენ. შემდეგ ჩვენც ვიყავით მოსკოვში ჩასული.

მართლმადიდებელი ქვეყნების საპარლამენტო ასამბლეაზე, რომელიც პრეზიდენტის სასახლეში გაიხსნა, მაშინდელმა პარლამენტის თავმჯდომარემ ძალიან კარგი სიტყვა თქვა, მათ შორის, საფლავებზე მისვლის საკითხიც ახსენა, კულტურის ძეგლებისა და ჩვენი ეკლესიების მდგომარეობაც. ბოლოს თქვა, რომ რუსული მხარის ამ ქმედებაში ქრისტიანული, მართლმადიდებლური არაფერი არ არის.

ჩემთვის ძალიან სასიამოვნო მოსასმენი იყო, როდესაც 20-ზე მეტი ქვეყნის დელეგაციებთან ერთად რუსულ დელეგაციას საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ უთხრა, არავითარი მართლმადიდებლები და ქრისტიანები არ ხართო. აფხაზეთში, ცხინვალის რეგიონსა თუ უკრაინაში (ოკუპირებულ ტერიტორიებზე) რუსეთის საქციელში ქრისტიანულს ვერაფერს ვხედავ.

რუსეთისთვის რელიგია იმდენად პოლიტიზებული თემაა, ისეთი შთაბეჭდილება მექმნება, რომ რუსეთის საპატრიარქო ან პრეზიდენტის რაღაც განყოფილებაა, ან უშიშროების განყოფილება. ისინი აგრესიულ, იმპერიულ, არაადამიანურ, ანტიქრისტიანულ სახელმწიფო პოლიტიკას ატარებენ.

***– ისე, მესამე რომის ფუნქციის აღება უნდოდათ და ახლაც უნდათ, მაგრამ, მე მგონი, ჩაეშალათ.***

– ნამდვილად ჩაეშალათ. იმ აქციებითაც, რომლებიც ტარდება რუსთაველზე, ბევრი რამ ითქვა. თუ ვინმე ოდესმე ფიქრობდა და იმედოვნებდა, რომ ქართველი საზოგადოება შეეგუებოდა ოკუპაციას და ოკუპაციის პირობებში შესაძლებელი იქნებოდა საქართველო-რუსეთის ურთიერთობის მოგვარება, ამ ილუზიებს წერტილი დაესვა. არა მგონია, საკითხი ამგვარად ოდესმე დადგეს.

თვითონ რუსები და კარასინიც კი ამბობენ, ყველაფერი, რაც კი გავაკეთეთ, ამ აქციების შედეგად დაიმსხვრაო. რა თქმა უნდა, დაიმსხვრა ილუზია. დაიმსხვრა იმის იმედი, რომ ქართველი საზოგადოება ქართველი ხალხი ოდესმე შეეგუება იმ ახალ რეალობას, რაზეც კარასინი და მთელი რუსეთის ელიტა საუბრობს.

***– კარგი იქნებოდა, ამ ასამბლეის დღეს პარლამენტის თავმჯდომარის მიერ გაკეთებული განცხადება ყოფილიყო დღის წესრიგში და კიდევ გავრცობილიყო, მაგრამ შემდეგ ყველაფერი გადაიფარა პარლამენტის თავმჯდომარის სავარძელში გავრილოვის ნახვით.***

– ძალიან დიდი შეცდომა იყო პარლამენტის სხდომათა დარბაზში ამ სესიის გაგრძელება. იქ რომ გაგრძელებულყო, სადაც გაიხსნა, ვფიქრობ, რაც მოხდა, არ მოხდებოდა.

ქართული დელეგაცია კარგად ემზადებოდა ამ სესიისთვის, რომელსაც 20-ზე მეტი ქვეყნის წარმომადგენელი ესწრებოდა. ყველა გაიგებდა, როგორი ქრისტიანები და როგორი მართლმადიდებლები არიან ეს ჩვენი „პატივცემული“ ოკუპანტები.

***– აფხაზეთში როგორ აღიქვეს ის პროცესები, რომლებიც თბილისში განვითარდა?***

– არა მგონია, იქ შიშით კანკალებდნენ, რომ აქედან პროცესები იქით გადაინაცვლებს. ისინი აქაურ მოვლენებს ისე აღიქვამენ, როგორც მოსკოვიდან კარნახობენ. უთხრეს, რომ მოსკოვმა მიიღო სადამსჯელო ზომები საქართველოს წინააღმდეგ, ტურისტებს აუკრძალეს ჩამოსვლა, პირდაპირი ფრენები გაუქმდება, იგივე დაავალეს სეპარატისტებს, გადაეკეტათ ერთადერთი გადასასვლელი, რომელიც მდინარე ენგურზე მოქმედებს.

ანუ რუსეთის სადამსჯელო ღონისძიებები აფხაზეთის მიმართულებითაც გაგრძელდა. ამას ისინი ახორციელებენ აფხაზების ხელით. აფხაზებს რასაც უკარნახებენ, რასაც დაავალებენ, სეპარატისტები იმას აკეთებენ.

***– უცხოელები იცინიან, ერთი გავრილოვი დაჯდა, ადგა და საქართველომ მილიარდი დაკარგაო. შეიძლება, მავანმა დასვას კითხვა, რაც მოხდა, მილიარდის დაკარგვად ღირდა?***

– მილიარდის დაკარგვა ძალიან ბევრს ნიშნავს, მაგრამ, ალბათ, იმ მითის დამსხვრევის ფულად განზომილებებში გადაყვანა შეუძლებელია. ალბათ, ღირდა. სისხლი რომ დაიღვარა, იმად ნამდვილად არ ღირდა. სისხლი არავითარ შემთხვევაში არ უნდა დაღვრილიყო.

განსაკუთრებით ახალგაზრდობამ დაამსხვრია მითი, რომლის მიხედვითაც, ეგონათ, რომ ჩვენ შეიძლებოდა შევგუებოდით ოკუპაციას. ეს ის ახალგაზრდობაა, ხვალ და ზეგ რომ ჩაიბარებს ქვეყნის მართვას. ეს ახალგაზრდობა კი ოკუპაციას შეგუებული არ არის, მიუხედავად იმისა, ჩუმად იყო, ზოგი ახალგაზრდა სწავლობდა, ზოგი – რაღაცას აკეთებდა, ოკუპაციას არ ეგუებოდა, რაც გამოჩნდა რუსთაველზე გამართული აქციების შედეგად. ეს არის იმ აქციების ყველაზე მთავარი და დადებითი მხარე. ამისთვის, შეიძლება, გავრილოვს აქედან მადლობაც კი შევუთვალოთ. ეს იყო სუფთა წყლის პროვოკაცია, შეიძლება, დაგეგმილი ვილაცის მიერ.

***– 2008 წლის შემდეგ რატომ ჰქონდათ იმედი, რომ ქართველი საზოგადოება შეეგუებოდა ოკუპაციას? ვინც ამ პერიოდს შეესწრო, ის არ შეეგუება.***

– ეს დაინახა რუსეთმა, რომელსაც ეგონა, რომ ის თანხა, რომელიც რუსეთიდან მოდიოდა, გადაწონიდა მთავარს, ჩვენი ტერიტორიების ოკუპაციას.

რუსეთმა, დასავლეთმა და ყველამ უნდა იცოდეს, რომ საქართველო ოკუპაციას არასოდეს შეეგუება, თავის მიწებს მილიარდებზე არასოდეს გაყიდის. რუსეთში იყო ილუზია, რომ შესაძლებელია, ოკუპაციის პირობებში მათ საქართველოსთან ურთიერთობა დაალაგონ ვაჭრობის და რაღაც გავლენების გზით, მაგრამ აღმოჩნდა, რომ ქართველი საზოგადოება სულ სხვა პოზიციაზეა და მე ამ პოზიციას მივესალმები

# სესხები, იპოთეკა და თავდებობა — რა უნდა ვიცოდეთ ხელშეკრულებაზე ხელის მოწერისას

გადაცემაში „ბიზნესი და სამართალი ნინო ლიპარტიასთან ერთად“ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო კოლეგიის მოსამართლე ეკატერინე ბიწაძემ სესხისა და საბანკო კრედიტის ხელშეკრულების პრობლემურ ასპექტებზე ისაუბრა.

ფაქტობრივად, არ არსებობს ადამიანი, რომელიც ცხოვრების განმავლობაში საკრედიტო ხელშეკრულების მხარე არ ყოფილა. სესხის ხელშეკრულებით გამსესხებელი გადასცემს საკუთრებაში ფულს ან გვაროვნულ ნივთს მეორე მხარეს, რომელსაც, თავის მხრივ, ეკისრება ვალდებულება იმავე სახის, ხარისხის და ოდენობის ნივთი დააბრუნოს ისევ უკან. ხელშეკრულების ერთ-ერთი პირობაა ვადა, ის თუ რა ვადაში უნდა დაბრუნდეს ნივთი და ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანია საპროცენტო სარგებელზე შეთანხმება.

ხელშეკრულების ზეპირი ან წერილობითი სახეები არსებობს. დავა შეიძლება წარმოიშვას ორივე შემთხვევაში, განსაკუთრებით ზეპირი ხელშეკრულების შემთხვევაში. საპროცენტო სარგებელთან დაკავშირებით კანონმდებელი არაერთხელ ჩაერია. პირველად ეს იყო 2016 წელს, როცა მაქსიმუმი ზღვარი წლიური 100% დადგინდა, თუმცა შემდგომ მიხვდა, რომ ეს ზღვარი მაღალი იყო და გასულ წელს ახალი ზედა ზღვარი – 50% დადგინდა.

ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპი ძლიან მნიშვნელოვანია, ამდენად სასამართლო ძალიან დიდი ხანი არ ერეოდა ამ ნაწილში. თუმცა,როცა დგება საჭიროება ჩარევის, უნდა ჰქონდეს მას შესაბამისი დასაბუთება. სასამართლოს პრაქტიკით დადგენილია წლიური 24 %, თუმცა ესეც მაღალია, საზღვარგარეთ გვხვდება 15%-19%. თუმცა სასამართლომ 2015 წელს დაადგინა 24%, როგორც გონივრული რიცხვი.

სესხისა და საბანკო კრედიტის ხელშეკრულების პრობლემურ ასპექტებს შორის მნიშვნელოვანია ინფორმირებულობის საკითხი. საკრედიტო ხელშეკრულებებისთვის დამახასიათებელია სტანდარტული პირობები. ხშირად დავა იწყება მაშინ, როცა მეორე მხარე აცხადებს, რომ მან ვერ გაიგო ხელშეკრულების პირობები, ვერ აღიქვა. ხელშეკრულების წაკითხვისა და გაგების მცდელობა, აუცილებელია, მეორე მხარიდანაც მოდიოდეს. არსებობს კეთილსინდისიერების ტესტის სტანდარტიც, რაც გულისხმობს იმას, რომ ხელშეკრულება უნდა იყოს აღქმადი. მასში გათვალისწინებული უნდა იყოს ყველა გარემოება, უნდა იყოს კარგი შრიფტი და ა.შ.

ხელშეკრულებებზე საუბრის პროცესში აუცილებელია ვისაუბროთ ასევე იპოთეკის ხელშეკრულებაზე. ბოლო პერიოდში გამოიკვეთა, რომ არ ხდება იპოთეკის ხელშეკრულების რეგისტრაცია საჯარო რეესტრში. აუცილებელია და იპოთეკის უფლება იურიდიულ ძალას იძენს მხოლოდ მისი საჯარო რეესტრში რეგისტრაციის შემდეგ.

– არავინ არ კითხულობს თავდებობის ხელშეკრულებებსაც. თავდები ადამიანები ამბობენ, რომ ხელშეკრულება, მათ იმ პროცესში ეგონათ ფორმალობა. ეს ნამდვილად არ არის ფორმალობა, ეს არის საპასუხისმგებლო ხელშეკრულება, რომელიც, იმ შემთხვევაში, თუ მოვალე ვერ შეძლებს და ვერ გადაიხდის ნაკისრ ვალდებულებას, თავდები თავდებობის ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ზღვრულ მოცემულობაში სრულად აგებს პასუხს ამ საკრედიტო ხელშეკრულებიდან გამომდინარე. ეს არის სოლიდარული თავდებობის ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული ფორმა. იმ პირობებშიც კი კრედიტორს შეუძლია მოვალის მიმართ აღსრულების დაწყების გარეშე პირდაპირ თავდებს მოსთხოვოს აღნიშნული თანხის ანაზღაურება.




თავდებობის ხელშეკრულება არის წერილობითი, იქ აუცილებლად უნდა იყოს ის ზღვრული ოდენობა, რაც თავდებს ეკისრება იმ შემთხვევაში თუ დადგება აღნიშნული ხელშეკრულების ამოქმედების საჭიროება. როგორც წესი, ეს ზღვრული ოდენობა 2 ან 3-ჯერ აღემატება იმ რეალური საკრედიტო ხელშეკრულების ოდენობას. ასე რომ, თავდები ყოველთვის უნდა იყოს ძალიან ფრთხილი და იცოდეს, რომ ის ხელშეკრულება, რომელსაც ის აწერს ხელს, მისთვის ძალიან საპასუხისმგებლოა, – ამბობს ეკატერინე ბიწაძე.

# ლამბოს, ოსკარს, ყურშას, ბაჩოს, წიესა და კიდევ 5 პირს წინასწარი პატიმრობა შეეფარდათ

რუსთავის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე ეკატერინე პართენიშვილმა სრულად დააკმაყოფილა პროკურატურის შუამდგომლობა და ქურდულ სამყაროსთან კავშირისა და ე.წ. ობშიაკის შეგროვების ბრალდებით დაკავებულ 10 პირს აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა შეუფარდა.

რაც შეეხება კიდევ ერთ პირს, რომელსაც ბრალი მე-17 დაწესებულებაში წარედგინა, მის მიმართ წინასასამართლო სხდომა დაინიშნა.

პროკურორ ხატია გოგრიჭიანის განცხადებით, ბრალდებულების მხრიდან მიმალვის, მტკიცებულებების განადგურებისა და მოწმეებზე ზეწოლის მოხდენის საფრთხე არსებობს, სწორედ ამიტომ მოსამართლემ არ დააკმაყოფილა დაცვის მხარეების შუამდგომლობები გირაოს შეფარდების თაობაზე და აღკვეთის ღონისძიების სახედ პატიმრობა იქნა გამოყენებული.

პროკურატურის პოზიციას არ ეთანხმებიან დაკავებულების ადვოკატები, რომლებიც მათი დაცვის ქვეშ მყოფების ქურდული სამყაროსთან რაიმე სახის კავშირს უარყოფენ.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, ქვემო ქართლის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა ჩატარებული რამდენიმეთვიანი ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, მთელი საქართველოს მასშტაბით, ქურდული სამყაროს 10 წევრი დააკავეს, 1 პირს კი ბრალი N17 პენიტენციარულ დაწესებულებაში წარუდგინეს.

„დაკავების ღონისძიებები მთელი საქართველოს მასშტაბით ჩატარდა. კერძოდ, ბათუმში, მესტიაში, მარნეულში, დმანისში, რუსთავსა და თბილისში. ერთ-ერთი ბრალდებული დაკავებულია წითელ ხიდზე, მაშინ როდესაც იგი ქვეყნის დატოვებას ცდილობდა.

დაკავებულები არიან: 1992 წელს დაბადებული ჯ.შ., 1996 წელს დაბადებული თ.მ., 1973 წელს დაბადებული რ.კ. (მეტსახელად „ლამბო“), 1974 წელს დაბადებული ა.ა. (მეტსახელად „ოსკარი“, იგივე „ალესკერი“), 1980 წელს დაბადებული ა.ვ. (მეტსახელად „ხომეინი“), 1980 წელს დაბადებული დ.ბ. (მეტსახელად „გოჭი“), 1985 წელს დაბადებული რ.ჯ. (მეტსახელად „ჯოლო“), 1985 წელს დაბადებული რ.კ. (მეტსახელად „ბაჩო“), 1981 წელს დაბადებული თ.ქ. (მეტსახელად „წიე“) და 1988 წელს დაბადებული ი.გ. (მეტსახელად „ყურშა“). სამართალდამცველებმა 1986 წელს დაბადებულ ლ.ა.-ს (მეტსახელად „ლერის“) ანალოგიური დანაშაულისთვის ბრალი Ŋ17 პენიტენციარულ დაწესებულებაში წაუყენეს.



აღნიშნულ პირთა მიერ ჩადენილი დანაშაული 7-დან 10 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

დაკავებულთა შორის 4 პირი ღიად აღიარებდა ქურდულ სამყაროს და მისდამი მხარდაჭერას საჯაროდ გამოხატავდა. ისინი ე.წ. კანონიერი ქურდების – „გულის“, მისი ძმის – ნამიკ სალიფოვის და მათი გარემოცვის სასარგებლოდ, ასევე, მათი სახელის გამოყენებით, მოქალაქეებს აშინებდნენ, ემუქრებოდნენ და თანხას სძალავდნენ. კერძოდ, გამოძიებით დადგენილია, რომ ბრალდებულებმა ერთ-ერთ მოქალაქეს თავისი კუთვნილი ავტომობილი გამოსძალეს, ხოლო სხვა მოქალაქეს ქურდული სამყაროსათვის სარგებლის მისაღებად 4 000 ლარის გადაცემა მოსთხოვეს, წინააღმდეგ შემთხვევაში კი, მისი შვილებისა და შვილიშვილებისთვის საფრთხის შექმნით დაემუქრნენ.

გამოძიებით, ასევე, დადგინდა, რომ ციხეში მყოფი ქურდული სამყაროს წევრი, მეტსახელად „ლერი“ კრიმინალური გავლენების გამოყენებით აგროვებდა ე.წ. „საერთოს“ (იგივე „ობშიაკს“) და აგზავნიდა თურქეთში მყოფი კანონიერი ქურდის – მინდია ლავასოღლის გარემოცვასთან. მასთან ერთად ამ პროცესში მონაწილეობდა დაკავებულთა შორის მყოფი ქურდული სამყაროს 5 წევრი“, – ნათქვამია შსს-ს მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

სამართალდამცველების მიერ ნივთმტკიცებად ამოღებულია მინდია ლავასოღლის გარემოცვისთვის გადასაცემი ე.წ. „ობშიაკის“ თანხა“, – განაცხადა მამუკა ჭელიძემ.

მისივე განცხადებით, შინაგან საქმეთა სამინისტრო აგრძელებს გამოძიებას „ქურდული სამყაროს“ წევრობის ფაქტებზე, რომელიც საქართველოს სსკ-ს 223-ე პრიმა მუხლის 1-ლი ნაწილით მიმდინარეობს.

# „ეს არის კაპიტულაცია რუსული პოლიტიკის მიმართ“

## ცოტნე სოსელიას, ბესიკ თამლიანს, კახაბერ კუპრეიშვილსა და ზურაბ ბუდაღაშვილს წინასწარი პატიმრობა შეეფარდათ

20-21 ივნისს რუსთაველის გამზირზე, პარლამენტის წინ განვითარებული მოვლენების დროს ჯგუფური ძალადობის ბრალდებით დაკავებულ ოთხივე პირს: ცოტნე სოსელიას, ბესიკ თამლიანს, კახაბერ კუპრეიშვილსა და ზურაბ ბუდაღაშვილს აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა შეეფარდათ.

აღნიშნული გადაწყვეტილება თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე ქეთევან ჯაჭვაძემ 6 ივლისს საღამოს გამოაცხადა.

დაკავებული პირებიდან ბრალს არც ერთი არ აღიარებს.

სასამართლო სხდომაზე ბრალდების მხარე დაკავებულებისთვის აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენებას ითხოვდა. აღნიშნულ შუამდგომლობას დაცვის მხარე არ ეთანხმებოდა.

ცოტნე სოსელიას, ბესიკ თამლიანს, კახაბერ კუპრეიშვილსა და ზურაბ ბუდაღაშვილს სისხლის სამართლის კოდექსის 225-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენა ედებათ ბრალად, რაც ჯგუფურ ძალადობაში მონაწილეობას გულისხმობს.

ბესიკ თამლიანის ადვოკატი თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებას სააპელაციო წესით გაასაჩივრებს.

როგორც თამლიანის ადვოკატმა ვახტანგ იაშვილმა ჟურნალისტებს განუცხადა, არავითარი საფუძველი, რომ ბრალდებულებისთვის აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა შეეფარდებინათ, არ არსებობდა. ამასთან ადვოკატმა აღნიშნა, რომ სასამართლოს არაერთი ალტერნატივა შესთავაზეს, რათა გამორიცხულიყო ყველანაირი რისკი ახალი დანაშაულის ჩადენის, მიმალვისა და მტკიცებულებების განადგურების.

– ამ პროცესს და საერთოდ ქვეყანაში არსებულ პროცესს შეგვიძლია დავარქვათ სამართლის, სიმართლის, იუსტიციის, სასამართლოს და ხელისუფლების კაპიტულაცია რუსული პოლიტიკის მიმართ.

ბრალდებას არ ჰქონდა არც ერთი საფუძველი ამ პირებისთვის პატიმრობის შესაფარდებლად, თუმცა მოსამართლემ თავიდან ბოლომდე დააკმაყოფილა მათი მოთხოვნა. ამტკიცებდნენ, რომ მიიმალება ჩემი დაცვის ქვეშ მყოფი, იმის გამო, რომ რუსეთის მოქალაქეა.

იმისთვის, რომ გამოირიცხოს გაქცევის, დამალვის, მტკიცებულებების განადგურების რისკი, შევთავაზეთ გირაო, ამასთან კონსტიტუციური უფლებების შეზღუდვა, როგორც მოხდა ერთ-ერთი პოლიტიკოსის შემთხვევაში. ასევე ვიყავით თანახმა, რომ გამოყენებულიყო სამაჯური, რომლის მეშვეობით ტექნიკურად



იქნებოდა შესაძლებელი გაკონტროლება, სად იმყოფება ბრალდებული.

გარდა ამისა, ასევე თანახმა ვიყავით პროკურორის თანხმობის გარეშე არ დაეტოვებინა ის ლოკაცია, სადაც მას განუსაზღვრავდნენ ყოფნას. აქედან გამომდინარე, გამორიცხული იყო ამ ხალხის მიმალვა, ახალი დანაშაულის ჩადენა და ა.შ., – განაცხადა ადვოკატმა ვახტანგ იაშვილმა.

# რუისთან მერსედესი დაიწვა

## 3 ადამიანი დაიღუპა, 5 მძიმედ დაშავდა

თბილისი-სენაკი-ლესელიძის რუისის მონაკვეთზე მომხდარ ავტოსაგზაო შემთხვევას 3 ადამიანი ემსხვერპლა, 5 კი მძიმედ დაშავდა.

მერსედესის მარკის ავტომობილი, რომელშიც 8 ადამიანი იჯდა, გზის სავალი ნაწილიდან გადავიდა და ცეცხლი გაუჩნდა.

გარდაცვლილები არიან შუახნის ქალი და ორი არასრულწლოვანი. ისინი სომხეთის მოქალაქეები არიან.

დაშავებულები სასწრაფო დახმარების ბრიგადამ საავადმყოფოში გადაიყვანა.

3 მოქალაქე სასწრაფო დახმარების ჯგუფებმა გორში, კლინიკა „გორმედში“ გადაიყვანეს. სამივე მათგანს სხეულის მრავლობითი დაზიანებები აღენიშნება. პაციენტების ჯანმრთელობის მდგომარეობა მძიმეა, დაშავებულთაგან 2 არასრულწლოვანია. ორივე მათგანი „გორმედის“ რეანიმაციულ განყოფილებაშია მოთავსებული.

– შემოყვანილი 3 პაციენტიდან 2 არასრულწლოვანია. ორივე მათგანი რეანიმაციულ განყოფილებაშია მოთავსებული. ყველა პაციენტს აღენიშნება ტრავმული შოკი და მრავლობითი დაზიანებები. 14 წლის ბიჭს აღენიშნება კიდურების მრავლობითი მოტეხილობა, მენჯის ძვლების მოტეხილობა, თავის ტვინის დაჟეჟილობა, იგეგმება მისი გადაყვანა თბილისში, ბავშვთა სპეციალიზებულ სამედიცინო დაწესებულებაში, რაც შეეხება 16 წლის გოგონას, მას ხერხემლის ტრავმა აქვს მიღებული, – განაცხადა „გორმედის“ კლინიკურმა დირექტორმა დავით ყაზაიშვილმა.

7 ივლისს 14 წლის ბიჭი თბილისში გადმოიყვანეს, 16 წლის გოგონა გორის კლინიკის რეანიმაციაში რჩება. მძიმე მდგომარეობაშია ავარიაში დაშავებული კიდევ ერთი მოქალაქე.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ შინაგან საქმეთა სამინისტროში განუცხადეს, ფაქტზე გამოძიება 276-ე მუხლის მერვე ნაწილით მიმდინარეობს, რაც ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების ან ექსპლუატაციის წესის დარღვევას გულისხმობს.

# რუსთავში ტურისტული სააგენტო გაქურდეს

რუსთავის მე-16 მიკრორაიონში ტურისტული სააგენტო გაქურდეს. შემთხვევა 6 ივლისს, გვიან ღამით მოხდა.

დამნაშავემ სააგენტოს ვიტრინა ქვით ჩაამსხვრია და შენობაში შეიჭრა.

ტურისტულ სააგენტოში აცხადებენ, რომ წაღებულია 2 ლეპტოპი.

შემთხვევის ადგილზე კრიმინალისტები გვიან ღამით მუშაობდნენ.

# კანადაში საქართველოს მოქალაქე გარდაიცვალა



## „თვითმკვლელობის ვერსიის არ გვჯერა“

კანადაში გარდაცვლილი ქართველის ოჯახი საქართველოს ხელისუფლებას გამოძიების პროცესში ჩართვასა და გარდაცვალების მიზეზის ერთობლივად დადგენას სთხოვს.

ოჯახი თვითმკვლელობის ვერსიას კატეგორიულად გამორიცხავს და ამბობს, რომ შესაძლოა, გარდაცვლილი ვალების გამო ორგანიზებული კრიმინალის მსხვერპლი იყოს.

– გარდაიცვალა პიროვნება, რა ვითარებაში, პასუხს ვერ ვიღებთ. იყო საუბარი, რომ ბოლო პერიოდში ფინანსური პრობლემები ჰქონდა და კითხვის ნიშნები გვაქვს, როდის და რა ვითარებაში გარდაიცვალა, – აცხადებს გარდაცვლილის ბიძაშვილი ბექა ნასყიდაშვილი.

# „არ ჰქონდა სახე, არ ჰქონდა ერთი ხელი და გულზე ქალის ტუფლი ედო“

## ვინ იპოვეს ქუთაისის სკოლის ეზოში

6 ივლისს ქუთაისში, 29-ე სკოლის ეზოში, მამაკაცის ცხედარი იპოვეს.

ადგილობრივების თქმით, არასასიამოვნო სუნს რამდენიმე დღის განმავლობაში გრძნობდნენ. ცხედარი სკოლის მიმდებარე ტერიტორიაზე იყო დამარხული, რომელიც ძაღლებმა ამოთხარეს, იმ დროს შენიშნეს მოქალაქეებმაც და პოლიცია გამოიძახეს.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 115-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც თვითმკვლელობამდე მიყვანას გულისხმობს.

ქუთაისში 29-ე სკოლის ეზოში ნაპოვნი გარდაცვლილი მამაკაცის შესახებ პალიტრავიდეოსთან ადგილობრივი მცხოვრები საუბრობს.

– ბევრი ხალხი იყო, პოლიციაც იყო მოსული, ეზოში იპოვეს. ამბობენ, რომ ეს კაცი იყო შარვალ-კოსტიუმში დამარხული, არ ჰქონდა სახე, ცალი ხელი ჰქონდა, ცალი არ ჰქონდა და გულზე ტუფლი ედო ქალის.

– დამარხული რას ნიშნავს?

– მიწა ეყარა ზევიდან, ერთ მეტრზე იყო მიწა ამოთხრილი და მიწა ეყარა ზემოდანაც და ძაღლებმა ამოთხარეს.

– შეიძლება აქ მოიყვანეს და დამარხეს?

– რა ვიცი, შეიძლება.

**სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა.** თოდუების საგვარეულო მალამო არის ბუნებრივი მეთოდებით დამზადებული წამლები, რომლებიც ათეულობით წლების განმავლობაშია ნაცადი. დღეს ამ ცნობილი გვარის წარმომადგენელი არის ლამარა თოდუა, რომელსაც უამრავი მადლიერი პაციენტი ჰყავს.

ქალბატონ ლამარას მომზადებული მალამოები და ნიღბები კანს სრულ ელასტიურობას უბრუნებს, ხელს უშლის კანის დანაოჭებას, სრულად არჩენს ჩირქოვან გამონაყარს. სწრაფად ახორცებს ნებისმიერი ხარისხის დამწვრობას, ყოველგვარი ნაირევის და ლაქების გარეშე.

**ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. კუჭის წყლულს; 11. გულძმარვას („იჟოგას“); 12. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 13. გამაგრებულ ნანემსარს; 14. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 15. მოვხსნი მეჭეჭებს; 16. განვკურნავ ჭიებისგან; 17. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 18. სოკოვან დაავადებებს; 19. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.**

**მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.**

**ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82**

# აშშ-ში ბრიტანეთის ელჩმა ტრამპის ადმინისტრაციას არაკომპეტენტური უწოდა



დიდი ბრიტანეთის ელჩმა აშშ-ში დონალდ ტრამპის ადმინისტრაციას არაკომპეტენტური და არამტკიცე უწოდა.

შესაბამისი შინაარსის ელექტრონული წერილები, რომლებიც 2017 წლიდან დღემდე პერიოდს მოიცავს, „დეილი მეილმა" გაასაჯაროვა.

ელჩი კიმ დაროქი წერს, რომ თეთრი სახლი არაფუნქციურია და დონალდ ტრამპის პრეზიდენტობის პერიოდში ორად არის გაყოფილი. ამასთან, ბრიტანელი დიპლომატი ამბობს, რომ აშშ-ის პოლიტიკა ირანთან მიმართებით ქაოტური და არათანმიმდევრულია.

ბრიტანეთის საგარეო უწყებაში განაცხადეს, რომ წერილების გავრცელება უტიფარი საქციელია, თუმცა სამინისტროში წერილების შინაარსი არ უარუყვიათ.

# ფსბ-ს ოფიცრები ყაჩაღობისთვის დააკავეს

რუსეთის ძალოვანი სტრუქტურების კრიმინალიზაცია საყოველთაოდ არის ცნობილი. ამის ნათელი დადასტურებაა მოსკოვში ფედერალური უშიშროების სამსახურის (ფსბ) 7 ოფიცრის დაკავება.



მათ ყაჩაღობა, ყალთაბანდობა და ორგანიზებულ დანაშაულთან კავშირი ედებათ ბრალად.

დაკავებულთა ნაწილი სპეცგანაყოფ „ალფას" წევრია. ნაწილი – „ვიმპელის".

დაკავებულთა შორის ფსბ-ს ოფიცერი კარელინიც მოხვდა. ის სუკის ვეტერანის შვილიშვილია. ბაბუამისი ფსბ-ს აკადემიაში ახლაც ასწავლის.

# აფეთქება აზერბაიჯანის ჯარში 2 სამხედრო დაიღუპა

აზერბაიჯანის თავდაცვის სამინისტროს ინფორმაციით, ერთ-ერთ სამხედრო ნაწილში აფეთქება მოხდა. შედეგად 2 სამხედრო მოსამსახურე დაიღუპა და 1 მძიმედ დაიჭრა.

სამხედრო უწყების ინფორმაციით, სამხედრო მოსამსახურეს სატანკო ჭურვის დენთის კონტეინერი დაუვარდა, რასაც აფეთქება მოჰყვა.

აფეთქების ფაქტზე გამოძიება მიმდინარეობს.

# ლუკაშენკო საგარეო პოლიტიკას ცვლის?!

## „დროა, ამერიკას დავუახლოვდეთ"



ბელორუსის პრეზიდენტის უკანასკნელმა განცხადებამ რუსები შოკში ჩააგდო. ლუკაშენკომ ამერიკელებს დამოუკიდებლობის დღე მიულოცა და დაამატა, რომ მისი მიზანი ამერიკასთან ურთიერთობის ნორმალიზება და გაღრმავებაა.

– კარგა ხანს ბელორუსის საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტი რუსეთთან ურთიერთობები იყო. დადგა დრო, რათა ეს შეიცვალოს, – ამბობს ლუკაშენკო.

ბელორუსის ლიდერის აზრით, რუსეთ-ბელორუსის ურთიერთობებში წარმოქმნილი სირთულეები რუსეთის ბრალია. ბელორუსი დათანხმდა ევრაზიულ კავშირში შესვლას, რუსული ენის მეორე სახელმწიფო ენად გამოცხადებას. მთელი ბელორუსული მრეწველობა და საზღვრები რუსების ხელშია. ამის შემდეგ კრემლმა ბელორუსის ანექსიაზე დაიწყო ზრუნვა.

– უკვე პრეზიდენტი პუტინი და საგარეო საქმეთა მინისტრი ლავროვი ლაპარაკობენ, რომ რუსეთი და ბელორუსი ერთ სახელმწიფოდ უნდა გაერთიანდნენ. ჩვენს მეგობრულ პოლიტიკას მათ ასეთი პასუხი გასცეს, – თქვა ლუკაშენკომ.

ლავროვმა ლუკაშენკოს გამოსვლა უკრაინული აგენტურის მოქმედებით ახსნა. ლავროვის აზრით, უკრაინელთა გამოა, რომ მოლდოვის ფედერალიზაცია გადაიდო, რუსეთ-ბელორუსის ურთიერთობებში კი ბზარი გაჩნდა. რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის აზრით, რუსთაველის გამზირზე გამართული აქციებიც უკრაინელთა ინტრიგების შედეგია.

– უკრაინა აშშ-ის ყველაზე რეაქციული, შავბნელი ძალების რუპორად გადაიქცა! – ამბობს ლავროვი.

# 2 თვეში სირიაში რუსულ ავიაიერიშებს 544 მშვიდობიანი მოქალაქე ემსხვერპლა

## მათ შორის 130 ბავშვი



სირიაში რუსული ავიაიერიშების შედეგად ბოლო ორ თვეში 544 მშვიდობიანი მოქალაქე დაიღუპა, ხოლო 2000-ზე მეტი ადამიანი დაშავდა.

ამის შესახებ უფლებადამცველები აცხადებენ.

რუსულმა ავიაგამანადგურებლებმა სირიის ჩრდილო-დასავლეთ რეგიონში იერიშები 26 აპრილს დაიწყეს. ისინი სირიის არმიას იდლიბის პროვინციაში ამბოხებულების წინააღმდეგ ბრძოლაში ეხმარებიან. უფლებადამცველების თქმით, დაღუპულთა შორის 130 ბავშვია.

– რუსული სამხედრო ტექნიკა და მისი მოკავშირე სირიის არმია განზრახ იღებენ სამიზნეში მშვიდობიან მოქალაქეებს, ასევე, ბომბავენ სამედიცინო დაწესებულებებს, – განაცხადა ადამიანის უფლებათა დაცვის სირიის ქსელის ხელმძღვანელმა.

თავად რუსული მხარე და სირიის არმია აღნიშნულ ბრალდებებს უარყოფენ.

# კალიფორნიაში ახალი ძლიერი მიწისძვრა მოხდა



6 ივლისს აშშ-ში, კალიფორნიის სამხრეთში, 7,1 მაგნიტუდის მიწისძვრა მოხდა. ეს ბოლო 20 წლის განმავლობაში ყველაზე ძლიერი მიწისძვრაა.

მიწისძვრის შედეგად დაზიანდა შენობების ნაწილი. გაზის მილების დაზიანების შედეგად ხანძარი გაჩნდა. ადგილობრივი ხელისუფლების ცნობით, მომხდარის შედეგად მსუბუქად დაშავდა 1 ადამიანი. ბიძგები იგრძნობოდა ნევადის შტატის ქალაქ ლას-ვეგასიდან ლოს-ანჯელესამდე – წყნარი ოკეანის სანაპირომდე.

5 ივლისს კალიფორნიაში 6,4 მაგნიტუდის მიწისძვრა მოხდა.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**

# კალეიდოსკოპი

## ნაყინის გამყიდველმა თავისი მუდმივი კლიენტი გადაარჩინა



ინგლისის კენტის საგრაფოში ნაყინის გამყიდველმა გადაწყვიტა თავისი მუდმივი ხანში შესული კლიენტი მოენახულებინა და დაღუპვას გადაარჩინა.

27 წლის რობერტ ელინორი ქალაქში ნაყინის გადასატანი მანქანით დადიოდა, როდესაც ყურადღება მიაქცია იმ ფაქტს, რომ უკვე ორი დღე იყო, რაც თავისი ერთ-ერთი მუდმივი მყიდველი, ხანდაზმული ინვალიდი ქალი, სახელად კერი, არ ჩანდა. ის რამდენჯერმე დაეხმარა მას პროდუქტების ყიდვაში და ასევე ცდილობდა, რომ მცირე თავისუფალი დრო მაინც გამოენახა ქალთან სასაუბროდ, რომ მას თავი მარტოხელად არ ეგრძნო.

ელინორმა გადაწყვიტა შეემოწმებინა, ყველაფერი რიგზე იყო თუ არა და ქალის სახლში მივიდა. მან ზარი დარეკა, მაგრამ კერიმ კარი არ გაუღო. მაშინ მან ფანჯარაში შეიხედა და დაინახა, რომ სახლის ბინადარი ცუდად იყო. ელინორმა ფანჯარა გააღო და სასწრაფო გამოიძახა. ქალი საავადმყოფოში გადაიყვანეს.

– საათობით გრძელდებოდა შეტევა და გონებას ვკარგავდი, ვერ ვინძრეოდი. ჩემი გაფანტული სკლეროზი, დიაბეტი და სხვა დაავადებები გამიმწვავდა, გლუკოზის დონემ სახიფათო დონემდე მიაღწია. იატაკზე ვიწექი და ძალიან გამიმართლა, რომ რობერტმა მომინახულა, – აღიარა ხანდაზმულმა ქალბატონმა. ექიმების თქმით, მასთან ნაყინის გამყიდველი რომ არ მისულიყო, ყველაფერი შესაძლოა ძალიან ცუდად დასრულებულიყო.

## გედმა პატრონის თვალწინ მისი ძაღლი მოკლა



ირლანდიაში გედი თავს დაესხა ძაღლს და, მიუხედავად მისი პატრონისა და იქ მყოფთა მცდელობისა, ცხოველი გადაერჩინათ, მაინც მოკლა.

ინციდენტი ქალაქ დუბლინის ბუში პარკში მოხდა. მამაკაცი თავის ძაღლთან ერთად სეირნობდა, რა დროსაც კოკერ-სპანიელმა გუბურას მიაშურა საცურაოდ. ეს არ მოეწონა წყალსატევის ბინადარ გედსა და ცხოველს თავს დაესხა. ფრინველმა ძაღლს ცემა ჯერ ცალი ფრთით დაუწყო, შემდეგ კი მეორეც მოიშველია. ეს რამდენიმე წამის განმავლობაში გრძელდებოდა.

ხალხმა გედს ყვირილი დაუწყო. ისინი ამით მისი ყურადღების ძაღლიდან საკუთარ თავზე გადატანას ცდილობდნენ, სასოწარკვეთილმა პატრონმა კი ფრინველს ტელეფონიც კი ესროლა. გედის მიერ მიყენებული რამდენიმე დარტყმის შემდეგ ძაღლი დაიღუპა.

პოლ დუინიანმა, პარკის ზედამხედველმა, რომელიც შემთხვევის ადგილზე თავის ორ კოლეგასთან ერთად მივიდა, განაცხადა, რომ მსგავსი შემთხვევის შესახებ ადრე არაფერი სმენია. მათ დაღუპული ძაღლი წყლიდან პატარა ნავისა და ბადის დახმარებით ამოიყვანეს.

## ქალმა წონაში 270 კილოგრამი დაიკლო

ამერიკის ტენესის შტატის ქალაქ ფეიეტვილში ქალმა, რომელიც 340 კილოგრამს იწონიდა, წონის თითქმის ხუთჯერ შემცირება მოახერხა.

მილა კლარკს ბავშვობიდან სიმსუქნე სტანჯავდა. გათხოვების დროს ის 180 კილოგრამს იწონიდა, ხოლო პირველი ბავშვის გაჩენის შემდეგ მისმა წონამ 220 კილოგრამს გადააჭარბა. ვითარება უფრო მეტად გართულდა, როდესაც ფეხზე ლიმფოდერმამ დაიწყო ზრდა. ის 20 კილოგრამს იწონიდა და სიარულში ხელს უშლიდა.



ქალი საწოლზე მიჯაჭვული აღმოჩნდა.

– ორ წელზე მეტი ხნით ამ ოთხ კედელში ვიყავი გამომწყვდეული, – ყვება ქალი, – ამ დროის განმავლობაში ერთხელაც არ ავმდგარვარ საწოლიდან. ერთადერთი რისი გაკეთებაც შემეძლო, ჭამა და ძილი იყო.

ყოველ დილით მისი ბავშვები ადრე დგებოდნენ იმისთვის, რომ დედა, რომლის წონამაც 340 კილოგრამს მიაღწია, ერთობლივი ძალებით დაებანათ.

სამი წლის წინ ბარიატრიული ქირურგიის სპეციალისტი იუნან ნოვზარდანი დათანხმდა ქალს დახმარებოდა. თავდაპირველად ქალს დამოუკიდებლად მოუხდა 45 კილოგრამის დაკლება. მხოლოდ ამის შემდეგ მოხერხდა მისთვის ოპერაციის გაკეთება და ლიმფოდერმის მოშორება. კლარკი კვლავაც დაახლოებით 300 კილოგრამს იწონიდა, თუმცა ახლა უკვე დამოუკიდებლად საწოლიდან ადგომას ახერხებდა.

შემდგომი სამი წლის განმავლობაში ქალმა გადაიტანა ბარიატრიული ოპერაცია, ზედმეტი კანის მოშორება და მუხლის სახსრების პროთეზირება. მკურნალობის დასრულების შემდეგ მისი წონა 70 კილოგრამამდე შემცირდა.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**


# განცხადებები

**სხვადასხვა**

● შევიძენ ძველ ანტიკვარულ ნივთებს, ნახატ სურათებს, ძველ წიგნებს. ტელ: 598-43-98-57.

● ვაქირავებ წინამძღვრიშვილზე 2-ოთახიან, იზოლირებულ ბინას, გარემონტებულს, ყველა საჭირო ნივთით. ბინას შესასვლელი აქვს სადარბაზოდან. ქუჩაში მეტალო-პლასტმასის ფანჯრებითა და აივნით. ფასი 700 ლარი. მაკლერები არ გამომეხმაუროთ. ტელ: 597-46-40-60.

**ჯანმრთელობა, მკურნალობა**

● ფოტოსურათით მოგიხსნით აგრესიას, ეჭვიანობას, შებოჭილობას, თვითმკვლელობის სურვილს, შფოთიან ძილს, ალკოჰოლიზმს, აზარტული თამაშების სურვილს, პათოლოგიურ სიმთვრალეს, აკვიატებებს, უიმედობას, ჯადო-თვალი-წყევლას. ფირმა „იადიგარ დაუდის" დირექტორი ნანა ქიბროწაშვილი. ტელ: 599-49-84-23.

● მკურნალობა მამაკაცებისათვის: პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, წვა-ტკივილი შარდვისას, პოტენციის დაქვეითება (იმპოტენცია), კუჭ-ნაწლავის პრობლემების მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით, უკუჩვენების გარეშე, გარანტიით. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი". ტელ: 558-15-63-87; 218-46-08 ექიმი მეგი.

● ძვლის პრობლემების მკურნალობა: კოქსართროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატოიდული და პოდაგრული ართრიტი, ტკივილის, შეშუპების, შებოჭილობის მოხსნა, მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციებ სახსრებზე, დაზიანებული ხრტილისა და სახსარში სითხის ბალანსის აღდგენა-მკურნალობა უკუჩვენების გარეშე 100%-იანი გარანტიით. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი". ტელ: 558-15-63-33; 218-46-08 ექიმი ნინო.

● კუჭ-ნაწლავის არასწორი კვებით გამოწვეული დარღვევებისგან: კოლიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე ასაკობრივი და პარაზიტული, უსიამოვნო სუნი პირიდან და ორგანიზმიდან თავის დაღწევა, გულ-სისხლძარღვთა სისტემის საერთო წმენდა-გაძლიერება-გაახალგაზრდავება, ღვიძლის გაწმენდა უჯრედულ დონეზე, გამოკვლევები უახლესი აპარატურით 15 წუთში, გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ეკოპრეპარატებით და ეკოსანთლებით. შედეგები მყარია, უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: სამსახ. 247-58-83 ან 571-72-03-11.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, თრომბის თავიდან აცილება, გულ-სისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისგან, წნევების დარეგულირება, ღვიძლის გაწმენდა, სხეულის წონის კორექცია: დაკლება 5-დან 20 კგ-მდე, მომატება 2-დან 6 კგ-მდე თვეში. გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ბიოპრეპარატებით. უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: 577-29-37-41 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთევანი.

● სიმაღლეში ზრდა კურსით 3-6 სმ-ის მომატებით, ძვლის მკვებავი მინერალების, ვიტამინებისა და ამინომჟავების ნაკრებით + ვარჯიშებით, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა-დანიშნულება ინდივიდუალურია და გამეორება შეგიძლიათ სასურველი შედეგის მიღებამდე (26 წლამდე). ასევე გახდომა სწორი კვებით აკრძალვების გარეშე, ნივთიერებათა ცვლის მოწესრიგებით კურსით 5-18 კგ-ის დაკლებით. წონის მომატება კურსით 1-5 კგ-მდე. სწრაფად და ეფექტურად იმუნიტეტის გაძლიერებით. მიღებული შედეგის სტაბილურად შენარჩუნებით. ტელ: 599-72-21-48 ან 234-02-38 ქ-ნი მარიამი.

● მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი – სქესობრივი უძლურებისა და შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციათა მოწესრიგება, პროსტატის ჯირკვლის ზრდის შეჩერება-უკუსვლა-სტაბილიზაცია-პოტენციის აწევა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი, ქავილი, გაორებული შარდის ნაკადი, უნებლიე შარდვა (ბავშვებშიც), ქრონიკული სოკოვანი, ბაქტერიული, ვენერიული ინფექციისგან გაწმენდა. რეპროდუქციული ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება, გაჯანსაღება ეკო-ბიომცენარეული პრეპარატებით, იმუნიტეტის გაძლიერებით. უკუჩვენების გარეშე. მყარი, საუკეთესო შედეგებით. ტელ: 577-29-37-41 ან 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● ძვალ-სახსართა ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: კოქსართროზით, ოსტეოქონდროზით, ოსტეოართროზით, პოდაგრული ართრიტით, მაანკილოზირებული სპონდილოზით და სხვა გამოწვეული დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების, შებოჭილობის, კრუნჩხვების და შეზღუდულობის მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება, ასევე გაჯანსაღება უკვე ნაოპერაციები სახსრების ძვლის მკვებავი 100%-ით ეკობიოპრეპარატებით, წონის კორექციით, სისხლძარღვების ქოლესტერინისგან გაწმენდით, 22-წლიანი გამოცდილებით. ტელ: 599-90-54-78 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთათო.

● ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების მოხსნა და აცილება, ნევროზის, დეპრესიის, უძილობის, აკვიატების, აგრესიით, „თეთრი ცხელების", მეხსიერების დაბინდვა-დაქვეითების დარეგულირება, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება, ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე, სისხლძარღვების გაწმენდა ქოლესტერინისგან, პოტენციის და იმუნიტეტის აწევა, შარდის აქტის მოშლისა და ენურეზისაგან განთავისუფლება, გაჯანსაღება ეკობიოპრეპარატებით. საჭირო კვლევები უახლესი აპარატურით (15 წუთში), 22-წლიანი გამოცდილებით, უკუჩვენებათა გარეშე, მყარი შედეგები. სუპერმენეჯერი ქ-ნი ქეთევანი. ტელ: 599-72-21-38 ან 234-02-38.

# არგენტინას ბრინჯაო, მესის — წითელი



**არგენტინა-ჩილე 2:1**

**სან პაულუ. კორინთიანსი**

1:0 აგუერო (12), 2:0 დიბალა (22), 2:1 ვიდალი (59პ)

**არგენტინა:** არმანი, ოტამენდი, ტალიაფიკო, პაცელა, ფოიტი, პარედესი, დე პაული, ლო ჩელსო (ფუნეს მორი 90), აგუერო (სუარესი 81), დიბალა (დი მარია 67), მესი

**ჩილე:** არიასი, ისლა, დიასი, ხარა (მარიპანი 50), ბოსეჟური, ვიდალი, არანგისი (კასტილიო 83), სანჩესი (ფერნანდესი 17), პულგარი, ვარგასი, მედელი

**გაძევება:** მედელი (37), მესი (37)

კოპა ამერიკის წლევანდელი გათამაშების მატჩი მე-3 ადგილისთვის დასამახსოვრებელი გამოდგა. არგენტინა და ჩილე ბოლო 2 გათამაშების ფინალში შეხვდნენ ერთმანეთს, მაგრამ ეს თამაში გაცილებით მხიარული გამოდგა. ორივე გუნდმა ისე ითამაშა, თითქოს გადამწყვეტი შეხვედრა ყოფილიყოს. თუმცა, მთავარ გმირად მთავარი მსაჯი მოგვევლინა. სანამ მარიო დიას დე ვივარის გადაწყვეტილებამდე მივალთ, მანამდე მატჩზე ვთქვათ...

არგენტინისთვის შეხვედრა იღბლიანად დაიწყო. „ალბისელესტემ" მეტოქეს ინიციატივა დაუთმო, მაგრამ ჩილეს ნაკრებმა არ იცოდა ბურთს როგორ მოპყრობოდა. დაცვაშიც შეცდომა გაეპარათ — ლეო მესიმ მოედნის ცენტრში ჯარიმის უფლება მიიღო, სანამ ჩილელი მცველები დაცვაში ჩადგომას მოასწრებდნენ, სერხიო აგუერო მეკარეს პირისპირ შეატოვა, რომელმაც მშვიდად გახსნა ანგარიში.

მალევე მეკარესთან რანდევუზე უკვე პაულო დიბალა აღმოჩნდა და ჩილელთა მდგომარეობა მძიმე გახდა.. ამას თან დაერთო, რომ ტრავმა მიიღო ჩილეს ნაკრების ერთ-ერთმა ლიდერმა ალექსის სანჩესმა.

არგენტინელები უკვე სრულად აკონტროლებდნენ მოედანს, მშვიდად აგორებდნენ ბურთს, მაგრამ 37-ე წუთზე მოედანი ერთხელაც „აფეთქდა".

მესი და გარი მედელი მოედნის კიდესთან წაკინკლავდნენ, რის შემდეგ ცხვირწინ წითელი ბარათი იხილეს. მესისთვის ეს მე-2 წითელი ბარათია კარიერაში. პირველად ეროვნული გუნდის სადებიუტო მატჩში გააძევეს უნგრეთთან. ეს 14 წლის წინ მოხდა.

შესვენების შემდეგ კიდევ ერთი ჩილელი ფეხბურთელი დაიმტვრა და გონსალო ხარაც შესაცვლელი შეიქმნა. მალე მატჩს ინტრიგა დაუბრუნდა — მსაჯმა ვიდეოგამეორების ნახვის შემდეგ არგენტინელთა კარში პენალტი დანიშნა, რომელიც ზუსტად დაარტყა არტურო ვიდალმა.

თუმცა, სულ ეს იყო... ჩილეს ნაკრებმა მეტი ვერაფრით დაგვამახსოვრა თავი, ხოლო არგენტინას შეეძლო, უფრო სოლიდური სხვაობით მოეგო. მარტო აგუერომ 2 მომენტი გაანიავა.

საბოლოოდ, არგენტინის ნაკრებმა მოიგო და ბრინჯაო ირგუნა, ხოლო ბოლო ორი ფინალის გამარჯვებული ჩილე საერთოდ უმედლოდ დარჩა.

დიდი აჟიოტაჟი გამოიწვია მოედნიდან მესის გაგდებამ. ბევრის აზრით, არგენტინელთა კაპიტანი წითელ ბარათს არ იმსახურებდა. მატჩის შემდეგ მსაჯმა მარიო დიას დე ვივარმა ოქმში მიუთითა, თუ რატომ გააძევა მოედნიდან მესი.

— არანორმატიული, შეურაცხმყოფელი ან დამამცირებელი ლექსიკის ან ჟესტების გამოყენება; მეტოქესთან შეტაკება არასათამაშო ეპიზოდში; მხრით მეტოქის დარტყმა, — წერია ვივარის ახსნაში.

კიდევ უფრო სკანდალურად გაგრძელდა დაჯილდოება, მესი პროტესტის ნიშნად დაჯილდოებაზე არ გავიდა მედლის მისაღებად და კონმებოლი (სამხრეთ ამერიკის ფეხბურთის კონფედერაცია) კორუფციაში დაადანაშაულა.

**ლეო მესი:**

— მედლის მისაღებად არ გავედი, რათა არ უნდა გავხდეთ კორუფციისა და უპატივცემულობის ნაწილი. ჩვენ მეტს ვიმსახურებთ, მაგრამ ფინალში გასვლის უფლება არ მოგვცეს. კორუფციამ და მსაჯებმა გულშემატკივრებს ფეხბურთით სიამოვნება არ მიანიჭეს.

ფეხბურთი დანგრეულია. სიმართლის თქმაა საჭირო. ტურნირს ბრაზილია მოიგებს — ეს საეჭვო არ არის. სამწუხაროდ, აქ ყველაფერი მათ ხელშესაწყობად არის მოწყობილი. მსაჯები ყველა იდიოტურ გადაწყვეტილებას ბრაზილიის სასარგებლოდ იღებენ. იქნებ კონმებოლმა რაიმე მოიმოქმედოს, თუმცა არა, ბრაზილიას ამ ორგანიზაციაში ძალიან დიდი ძალაუფლება აქვს. იმედია, მსაჯები და ვიდეოგამეორება ხელს ვერ შეუშლის და პერუ მასპინძლებს ბრძოლას გაუმართავს. ამ გუნდს ეს შეუძლია. თუმცა, ვხედავ, ამის გაკეთება რთული იქნება.

ჩემი გაძევება? მსაჯს შეეძლო ორივესთვის ყვითელი ბარათი ეჩვენებინა. ეს საკმარისი იქნებოდა. მთავარია, გუნდმა კარგად დაასრულა ტურნირი. გულდაწყვეტილი ვარ, რომ ბოლომდე ვერ ვითამაშე, მთლიანობაში კი მშვიდად გახლავართ. ტურნირს თავაწეულნი ვტოვებთ, გუნდით ვამაყობ, რომელიც ბოლომდე დაიხარჯა. ბოლოს სკალონისთან ერთად ჩვენს თამაშს მივაგენით.

# გრიზმანი ბარსაში, მორატა — ატლეტიკოში



ესპანელი გულშემატკივრები კიდევ ერთი დიდი ტრანსფერის მოლოდინში არიან. თუმცა, ამით კმაყოფილი მხოლოდ ცალი მხარე დარჩება. მოგეხსენებათ, ბარსელონას დიდი სურვილი აქვს, თავის რიგებში ფრანგი შემტევი ანტუან გრიზმანი იხილოს. თვით ბარსას პრეზიდენტმა ჟოზეპ ბარტომეუმ დაადასტურა, რომ ფეხბურთელთან მოლაპარაკება მიმდინარეობს.

თავის მხრივ განაწყენებულია ატლეტიკოს შეფობა, რომელსაც გრიზმანმა ბოიკოტი გამოუცხადა და გუნდთან ერთად ვარჯიშს არ აპირებს.

„როხიბლანკოს" მწვრთნელ დიეგო სიმეონეს გრიზმანის ღირსეულად გაშვება სურს, მაგრამ კლუბის ხელმძღვანელობა სხვა აზრზეა.

გრიზმანი ბარსელონასთან მარტიდან აწარმოებდა მოლაპარაკებას, რაც ატლეტიკოს ხელმძღვანელობამ შეიტყო და გუნდთან ერთად ვარჯიში უბრძანა.

ბარსას მარტივად შეუძლია საკითხი გადაჭრას — კონტრაქტი 120 მილიონ ევროდ გამოისყიდოს და, როგორც იუწყებიან, ამას 10 ივლისამდე გააკეთებს.

ატლეტიკომ კი ბარსელონაც და თავდამსხმელიც უპატივცემულობაში დაადანაშაულა და ამის შესახებ განცხადება გააკეთა.

— მაისში გრიზმანმა გვაცნობა, რომ ზაფხულში გუნდს დატოვებდა. შემდეგ გავიგეთ, რომ კატალონიურ კლუბს ჯერ კიდევ მარტში მოელაპარაკა. ამას უპატივცემულობად ვთვლით და ტრანსფერის თანხის გადავადებაზე უარი ვუთხარით. ამას გარდა, ატლეტიკომ გრიზმანს აუწყა, რომ კონტრაქტით გათვალისწინებული ვალდებულების მიხედვით წინასასეზონო შეკრებაზე უნდა გამოცხადდეს, რასაც ფეხბურთელი არ აკეთებს.

მიუხედავად ატლეტიკოს „გაბრძოლებისა", ბარსელონისა და გრიზმანის გზების გადაკვეთა გარდაუვალია. ფრანგი ფეხბურთელი მალე კატალონიურ კლუბში ითამაშებს. მეტიც, ესპანური მედია მსოფლიოს ჩემპიონის წარდგენის ზუსტ თარიღსაც გვთავაზობს.

ბლაუგრანაში ყველაფერი დაუგეგმავთ. ერთადერთი, რაც ჯერ არ დასრულებულა, ფორმალური მხარეა, რომელსაც თურმე ესპანეთის ჩემპიონი მალე მოაგვარებს.

ესპანური მედია გვარწმუნებს, რომ 28 წლის თავდამსხმელს ბარსა 10 ივლისს წარადგენს. ეს დღე კლუბში შემთხვევით არ შეურჩევიათ, ბარსაში წინა დღით ვალენსიადან გადაბირებული მეკარე ნეტო უნდა წარადგინონ, გრიზმანის გამოჩენა კი ბრაზილიელ გოლკიპერს დაჩრდილავს, ამიტომაც ბარსელონამ საქმე მომდევნო დღისთვის გადადო.

ეს ყველაფერი ატლეტიკომაც კარგად იცის, უბრალოდ, დრო გაჰყავს, რადგან გრიზმანის შემცვლელი უკვე მოძებნა. მადრიდელებმა ლონდონის ჩელსისგან ალვარო მორატა გამოისყიდეს. აქამდე არისტოკრატებს ესპანეთის ნაკრების თავდამსხმელი იჯარის წესით ჰყავდათ გაშვებული, ახლა კი 65 მილიონ ევროდ შეელევიან.

მორატა იქ დაბრუნდა, საიდანაც დაიწყო. ის ატლეტიკომ გაზარდა, მერე კი ერთიმეორეზე უკეთეს კლუბებში, მადრიდის რეალში, ტურინის იუვენტუსსა და ხსენებულ ჩელსიში ითამაშა.

ამ გადაბარგება-გადმობარგებაში მორატამ ესპანელი ფეხბურთელების რეკორდი დაამყარა. საქმე ის არის, რომ 26 წლის ფეხბურთელის შეძენაში, საერთო ჯამში, კლუბებმა 181 მილიონი ევრო დახარჯეს, რითაც იგი ყველა თანამემამულეს აღემატება.

# პოგბას რეალი და იუვენტუსი უტრიალებენ



მანჩესტერ იუნაიტედი წინასასეზონო ტურნეს 13 ივლისს დაიწყებს. მანამდე „წითელი ეშმაკები" შეიკრიბნენ, მაგრამ — არასრული შემადგენლობით — ოლე გუნარ სოლსკიაერის სიას მხოლოდ 3 ფეხბურთელი აკლია.

მატეო დარმიანი და ფრედი კლუბმა ოჯახური პრობლემების გამო გაათავისუფლა, ხოლო ალექსის სანჩესი ჩილეს ნაკრებთან ერთად კოპა ამერიკის ტურნირზე იმყოფებოდა და მე-3 ადგილისთვის მატჩში ტრავმაც მიიღო.

იუნაიტედს სატრანსფერო საგის 2 მთავარი მონაწილე რომელუ ლუკაკუ და პოლ პოგბა შეუერთდნენ.

პოგბათი ყველაზე მეტად მადრიდის რეალია დაინტერესებული, რომელიც აპირებს საქმეში გარეთ ბეილი ჩართოს. ზინედინ ზიდანმა ნათლად განაცხადა, რომ მიმდინარე ზაფხულს იუნაიტედიდან პოგბას გადაბირება სურს და კლუბს მოსთხოვა, ნებისმიერ ძალისხმევას მიმართოს მიზნის მისაღწევად.

თუმცა, არც მანჩესტერი აპირებს უკან დახევას, სანამ მოთხოვნილ 150 მილიონ გირვანქა სტერლინგს არ მიიღებს, პოგბას გაშვებას არ აპირებს. ამ თანხის გადახდა კი რეალს არ უნდა.

ესპანური მედიის ცნობით, მადრიდულ გრანდს მხოლოდ ის შეუძლია, რომ მანჩესტერელებს ფეხბურთელს პლუს ფული შესთავაზოს. ფეხბურთელია ბეილი, თუმცა საქმეში ჩასართავად ისკოც ფიგურირებს.

პოგბას ძალიან სურს ესპანეთის დედაქალაქში გადასვლა, მაგრამ შეცვლის თუ არა მოლაპარაკებებში ბეილის ჩართვა იუნაიტედის დამოკიდებულებას, ჯერ კიდევ საკითხავია.

26 წლის ფეხბურთელის აგენტი მინო რაიოლა ორჯერ იმყოფებოდა მანჩესტერში ინგლისიდან თავისი კლიენტის წასასვლელად გზის გასახსნელად, ხოლო რეალის დირექტორები ამავე პერიოდში იუნაიტედის ხელმძღვანელობას ხვდებოდნენ.

პოგბას მანჩესტერიდან წასვლა რომ უნდა, ამას რაიოლაც ადასტურებს და რამდენიმე გამოცემასთან ამ საკითხზე ღიად ისაუბრა. მაგრამ სად წავა პოგბა?

საქმე ის არის, რომ რეალს სერიოზული კონკურენტი ჰყავს — ტურინის იუვენტუსი, რომელიც ჯერ კიდევ ცდილობს ფრანგი ნახევარმცველის შეძენას და პოტენციურ შეთანხმებაში ისიც ფეხბურთელების ჩართვას გეგმავს.

აპენინური მედიის ცნობით, იუვენტუსმა პოგბას შესაძენად შეთავაზებული თანხა უნდა გაზარდოს, მაგრამ უფრო სარფიანი წინადადების შესათავაზებლად მოლაპარაკებებში ფეხბურთელების ჩართვასაც ცდილობს.

„ბებერ ქალბატონთა" ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ შემადგენლობაში ჰყავს ისეთი კადრები პაულო დიბალას, ბლეზ მატუიდისა და ალექს სანდროს სახით, რომ „წითლების" დათანხმებას შეძლებს.

სანდროსა და დიბალას სახელს ბოლო პერიოდში ხშირად უკავშირებდნენ „ოლდ ტრაფორდს" და იუნაიტედში ყოფნის პერიოდში ჟოზე მოურინიოც ცდილობდა ბრაზილიელი მცველის შეძენას.

დიბალა მსოფლიო ერთ-ერთ საუკეთესო თავდამსხმელად არის მიჩნეული და იუვენტუსში ფიქრობენ, რომ არგენტინელის ჩართვა მოლაპარაკებებში პოგბაში მოთხოვნილ თანხას დააგდებს.

უფრო იძაბება და ფართო მასშტაბებს იღებს ლუკაკუს სატრანსფერო საგაც. სოლსკიაერის გუნდის შემტევი ფორვარდი ანტონიო კონტეს ინტერის შემდეგ მაურიციო სარის იუვენტუსსაც მოუნდა.

ასევე ვრცელდება ინფორმაციები, რომ ბელგიელი თავდამსხმელის მომსახურებით ნაპოლიც დაინტერესდა. როგორც ჩანს, „ნერაძურის" ფეხბურთელის გადასაბირებლად დიდი ბრძოლის გადატანა მოუწევს.

რამდენიმე მცდელობის მიუხედავად, მილანურმა კლუბმა ინტერმა გლეიზერების კლუბისგან უარი მიიღო. „წითელ ეშმაკებს" პირველ შეთავაზებაზე სატრანსფერო თანხა არ მოეწონათ.

შემდგომ ამისა იყო იჯარის წესით ტრანსფერის შეთავაზება თუმცა ედ ვუდვორდმა ამაზეც უარი განაცხადა — მანჩესტერს ლუკაკუს სანაცვლოდ 80 მილიონი ევროს მიღება სურს.

ლუკაკუს ხელშეკრულება იუნაიტედთან 2022 წლამდე აკავშირებს.

# ინფანტინო გუნდების რაოდენობის გაზრდით დაინტერესებულია



ფიფას პრეზიდენტი ჯანი ინფანტინო ინოვაციებს არ ეშვება და ახალი პროექტი აქვს მომზადებული. ფეხბურთის მმართველი ორგანოს შეფი რასაც შვეიცარიელ-იტალიელ მსოფლიოს მამაკაცთა ჩემპიონატზე გეგმავდა, იმას ქალთა მუნდიალზე განახორციელებს.

ინფანტინოს თქმით, ქალთა მსოფლიო პირველობაზე ნაკრებების რაოდენობა გაიზრდება და შემდეგი გათამაშებიდან 32-გუნდიანი გახდება, ხოლო საპრიზო თანხა გაორმაგდება.

ამჟამად 2023 წლის მუნდიალის მასპინძლობაზე სურვილი ოფიციალურად 37 ქვეყანას აქვს გამოთქმული, გამარჯვებული კი გაისად მარტში გამოვლინდება.

თუმცა, უკვე გამოკვეთილია 9 ქვეყანა, რომელსაც უპირატესობა მიენიჭებათ, მათ შორის კაცთა ბოლო რამდენიმე მუნდიალის მასპინძლები ბრაზილია და სამხრეთ აფრიკა. მათ გარდა ლიდერობენ არგენტინა, ავსტრალია, ბოლივია, კოლუმბია, იაპონია, ახალი ზელანდია და სამხრეთ კორეა.

**ჯანი ინფანტინო:**

— თუ გვინდა, რომ მსოფლიოს ქალთა ჩემპიონატი 32-გუნდიანი უკვე 2023 წელს გახდეს, უფრო სწრაფად უნდა ვიმოქმედოთ. ამ საკითხს როგორც გადაუდებელ აუცილებლობას ისე განვიხილავთ. ვცდილობთ, რაც შეიძლება მალე გადავწყვიტოთ, მერე კი ყველა მსურველისთვის ტენდერი გამოვაცხადოთ. შეუძლებელი არაფერია, თანაც ამ მუნდიალის წარმატებით ჩატარების შემდეგ, უკეთესი მომავლის იმედი უნდა გვქონდეს.

ქალთა მსოფლიო ჩემპიონატი პირველად 1991 წელს ჩატარდა და მასში მონაწილეობა 12-მა ნაკრებმა მიიღო, 7 წელიწადში გუნდების რაოდენობა — 16-მდე, 2015-ში კი 24-მდე გაიზარდა.

# შედეგები

## 6 ივლისი

**ფეხბურთი**

**კოპა ამერიკა**

| | |
|---|---|
| არგენტინა-ჩილე | 2:1 |

**აფრიკის ერთა თასი**

| | |
|---|---|
| ნიგერია-კამერუნი | 3:2 |
| ეგვიპტე-ს.აფრიკა | 0:1 |

**რუსეთი. სუპერთასი**

| | |
|---|---|
| ზენიტი-ლოკომოტივი | 2:3 |

**შვედეთი. ალსვენსკა**

| | |
|---|---|
| სირიუსი-ესტერტსუნდი | 1:1 |
| კალმარი-აიკი | 0:1 |
| გიოტებორგი-სუნდსვალდი | 2:1 |
| მალმიო-იორებრო | 2:1 |

**ფინეთი. ვეიკაუსლიგა**

| | |
|---|---|
| კვპ-ვასა | 2:1 |
| როვანიემი-მარიეჰამნი | 1:2 |
| ჰონკა-კუუპიო | 1:2 |

**ჩოგბურთი**

**უიმბლდონი**

**კაცები**

| | |
|---|---|
| ნიშიკორი-ჯონსონი | 6:4,6:3,6:2 |
| კუერი-მილამანი | 7:6,7:6,6:3 |
| სანდგრენი-ფონინი | 6:3,7:6,6:3 |
| შტრუფი-კუკუშკინი | 3:6,6:7,6:4,5:7 |
| ბერეტინი-შვარცმანი | 6:7,7:6,4:6,7:6,6:3 |
| ცონგა-ნადალი | 2:6,3:6,2:6 |
| პუიე-ფედერერი | 5:7,2:6,6:7 |
| სოზა-ევანსი | 4:6,6:4,7:5,4:6,6:4 |

**ქალები**

| | |
|---|---|
| რისკე-ბენჩიჩი | 4:6,6:4,6:4 |
| სუარეს ნავარო-დეივისი | 6:3,6:3 |
| ლინეტი-კვიტოვა | 3:6,2:6 |
| მერტენსი-ვანი | 6:2,6:7,6:4 |
| ს.უილიამსი-გერგესი | 6:3,6:4 |
| ბარტი-დარტი | 6:1,6:1 |
| ბერტენსი-სტრიცოვა | 5:7,1:6 |
| სტივენსი-კონტა | 6:3,4:6,1:6 |

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

## მამაკაცმა ცოცხალი გეკონი შეჭამა და მოკვდა

ავსტრალიის კვინსლენდის შტატის ქალაქ ბრისბენში მამაკაცმა, სავარაუდოდ, ცოცხალი გეკონი შეჭამა და ათი დღის შემდეგ გარდაიცვალა. ამ ინფორმაციას ერთ-ერთი ადგილობრივი გამოცემა ავრცელებს.

გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, 2018 წლის 1 დეკემბერს სამი შვილის მამა, 34 წლის დევიდ დოუელი, საშობაო საღამოს ესწრებოდა. მეორე დღეს მან განაცხადა, რომ თავს ცუდად გრძნობდა, თუმცა გადაწყვიტა, რომ, უბრალოდ, „პახმელიაზე" იყო. როდესაც მისი მდგომარეობა გაუარესდა, ოჯახმა სასწრაფო დახმარება გამოიძახა.

ნათესავების დაჟინებული მოთხოვნით დოუელი საავადმყოფოში მოათავსეს. 4 დეკემბერს მას სისხლში სალმონელის ბაქტერია აღმოუჩინეს. მამაკაცი დღითიდღე თავს სულ უფრო ცუდად გრძნობდა. მისმა შარდმა შავი შეფერილობა მიიღო, ხოლო ფილტვებში სითხემ დაიწყო ჩადგომა.

– დევიდი აბსოლუტურ აგონიაში იმყოფება, – აღნიშნა მისმა დამ ჰანამ.



ექიმებმა ის ხელოვნურ კომაში გადაიყვანეს, ვინაიდან მისი მდგომარეობა კრიტიკული გახდა. ზუსტი დიაგნოზის დასმიდან ერთ კვირაში დოუელი ოპერაციის დროს გარდაიცვალა. ნათესავებმა მკურნალი ექიმები გულგრილობაში დაადანაშაულეს, რომ თითქოსდა ისინი მამაკაცის დაავადებას სათანადო სერიოზულობით არ მოეკიდნენ.

ნათესავებმა ჩათვალეს, რომ დევიდის დაავადების მიზეზი ქათმის ხორცისგან მომზადებული სადღესასწაულო კერძი გახდა. მოგვიანებით მამაკაცის მეუღლე ალირა მის ერთ-ერთ მეგობარს დაუკავშირდა. მან იმ საღამოს დეტალები გაიხსენა.

– დარწმუნებული ვარ, რომ იმ საღამოს დევიდმა გეკონი შეჭამა. ჰო, ჰო, დავინახე, როგორ შეჭამა გეკონი, – განაცხადა მამაკაცმა, თუმცა მოგვიანებით ჩვენება შეცვალა და განაცხადა, რომ პირადად მას ეს არ დაუნახავს.

გარდაცვლილის დის, ჰანას მტკიცებით, მის ძმას ნაძლევზე გეკონის შეჭმა შესთავაზეს, თუმცა იქვე აცხადებს, რომ ზუსტად არ არის ცნობილი, დევიდმა მართლა შეჭამა თუ არა ხვლიკი, ვინაიდან თავად მას ამის შესახებ არაფერი უთქვამს.

## განძის მაძიებელი ყმაწვილი პირველი მსოფლიო ომის დროინდელ ბომბზე აფეთქდა

საფრანგეთში ახალგაზრდა მამაკაცი განძის ძებნის დროს პირველი მსოფლიო ომის დროინდელ ბომბზე აფეთქდა.

ინციდენტი ივლისის დასაწყისში მოხდა. 18 წლის განძის მაძიებელი პოლ აიდენი ოქროს მოძიებას ლითონის მაძიებელი მოწყობილობის დახმარებით ქალაქ მეცში, გრანდ-ესტის რეგიონში, საკუთარი სახლის მახლობლად, ტყეში ცდილობდა. როდესაც მოწყობილობამ სიგნალი მისცა, ყმაწვილმა გადაწყვიტა, რომ ოქროს მონეტებს მიაგნო. მან მიწის თხრა ხშირ ბუჩქნარში დაიწყო და ძველ ასაფეთქებელ მოწყობილობას მიაგნო. აიდენმა წესიერად იმის გააზრებაც ვერ მოასწრო, თუ რასთან ჰქონდა საქმე, რომ აფეთქების ტალღამ მოისროლა.



– მიწაზე ვეგდე, სისხლი მდიოდა და არ მესმოდა, თუ რა ხდებოდა, დავინახე, რომ მკერდი სისხლიანი მქონდა და ჩემი მოგლეჯილი საჩვენებელი თითიც შევნიშნე, – იხსენებს აიდენი. მისივე აღიარებით, მას გაუმართლა, რომ ცოცხალი გადარჩა. ის ნამსხვრევები, რომლითაც აღჭურვილი იყო ასაფეთქებელი მოწყობილობა, ოდნავ ზევით რომ მოხვედროდა, შესაძლოა, დაღუპულიყო.

ყმაწვილმა დაუხმარებლად შეძლო სახლამდე მიღწევა. მისმა მშობლებმა დაუყოვნებლივ გამოიძახეს სასწრაფო დახმარება. აიდენი საავადმყოფოში გადაიყვანეს, სადაც ექიმებმა ერთსაათიანი ოპერაციის დროს ყმაწვილს სხეულიდან 50-მდე ნამსხვრევი ამოუღეს და თითი მიაკერეს. მართალია, ოპერაციამ წარმატებით ჩაიარა, მაგრამ აიდენი ველარ გრძნობს მარცხენა ხელს და ყურებში მუდმივად შიშინი ესმის.

პოლიციამ და მესანგრეებმა დაადგინეს, რომ ახალგაზრდა 1915 წელს გამოშვებულ ფრანგულ ასაფეთქებელ მოწყობილობაზე აფეთქდა. მათ ის ადგილი, სადაც აიდენი აფეთქდა, შემოსაზღვრეს, საძიებო სამუშაოების შედეგად კი შორიახლოს გერმანული ფოსფორული ყუმბარა აღმოაჩინეს და გააუვნებელყვეს.

*მოამზადა კახა ხატიაშვილმა*

## მამამ დრონის წყალობით შვილები დაღუპვას გადაარჩინა

ამერიკის ფლორიდის შტატის ქალაქ ნიუ-სმირნაბიჩში მამაკაცმა გადაწყვიტა, პლაჟზე მყოფი შვილებისთვის ვიდეო დრონით გადაეღო და ამ დროს შემთხვევით შენიშნა ზვიგენი, რომელიც მათ უახლოვდებოდა.



დენიელ უოტსონი ოჯახთან და მეგობრებთან ერთად ადგილობრივ პლაჟზე ისვენებდა და გადაწყვიტა, ჰაერიდან რამდენიმე სურათი გადაეღო. როგორც კი დრონმა სიმაღლე აიღო, მისმა კამერამ წყალში დამახასიათებელი ჩრდილი დააფიქსირა, რომელიც ბავშვებს უახლოვდებოდა. უოტსონმა ამის შესახებ მეუღლეს გააგებინა და მათ ბავშვები დაუყოვნებლივ ამოიყვანეს წყლიდან.

იმავე საღამოს მამაკაცმა ფოტოსურათი უფრო მაღალი ხარისხით გააშუქა და ზვიგენის მკვეთრი სილუეტი დაინახა, რომელიც ბავშვებისკენ მიცურავდა. მან სურათი ბავშვებსაც აჩვენა, რომლებიც, მისი თქმით, ერთდროულად შეშინებულებიც იყვნენ და დაინტერესებულებიც. ოჯახმა ასევე შეიტყო, რომ იმავე რაიონში მცირე ხნით ადრე ზვიგენი ადამიანს თავს დაესხა.

## მატარებლის ქვეშ ჩავარდნილი ბიჭი ცოცხალი გადარჩა

ავსტრალიის ქალაქ სიდნეიში ბავშვი მატარებლის ქვეშ ჩავარდა და ცოცხალი გადარჩა. ამის ამსახველი ვიდეო ერთ-ერთმა ადგილობრივმა პორტალმა გამოაქვეყნა.

სათვალთვალო კამერის მიერ გადაღებულ კადრებში ჩანს, რომ ბიჭი დედასთან ერთად ბაქანზე დგას და მატარებელს ელოდება. როდესაც ისინი მატარებლის კართან მიდიან, ბავშვი ვარდება მატარებელსა და ბაქანს შორის არსებულ ჭრილში. იქ მყოფები მაშინვე მისცვივდნენ დასახმარებლად და ბავშვი ამოიყვანეს. ამ დროისთვის მის ჯანმრთელობას საფრთხე არ ემუქრება.



ამ ინციდენტის შემდეგ ახალი სამხრეთ უელსის შტატის ტრანსპორტის მინისტრმა ენდრიუ კონსტანსმა მშობლებს მოუწოდა, მეტი ყურადღება გამოიჩინონ თავიანთი ბავშვების მიმართ და ხელჩაკიდებული ჰყავდეთ ნებისმიერ ადგილას, რათა უბედური შემთხვევა თავიდან აიცილონ.

## მამაკაცმა ერთი ლიტრი ლუდი ერთ მოყუდებაზე დალია და დაიღუპა

ტაილანდში მამაკაცმა მონაწილეობა მიიღო ლუდის სწრაფად დალევაში, მეტისმეტად ბევრი დალია და დაიღუპა. ეს ყოველივე შაბათს საზღვაო კურორტ ჩაამში მოხდა.

ბარის სტუმარმა კოლეგებთან ერთად ლუდის სწრაფად დალევის პოპულარულ კონკურსში მონაწილეობა გადაწყვიტა.

შეჯიბრების დაწყების წინ მისმა მონაწილეებმა ლუდით სავსე კათხა ასწიეს და სადღეგრძელო წარმოთქვეს. ამის შემდეგ მამაკაცმა ერთი ლიტრი ლუდი ერთ მოყუდებაზე დაცალა და სასმისი გადააბრუნა, რათა ჟიურისთვის დაემტკიცებინა, რომ დავალებას თავი კარგად გაართვა. გარკვეული დროის შემდეგ კონკურსანტი პირქვე დაეცა და მალევე გარდაიცვალა.

მამაკაცის ცხედარი ექსპერტიზაზე გადაიტანეს.



## შიშველი ძილის ჩვევამ მამაკაცი სიკვდილს გადაარჩინა



ავსტრალიის ქალაქ მელბურნში მამაკაცი იმის წყალობით გადარჩა, რომ ელექტროსაბნის ქვეშ, რომელსაც ღამით ცეცხლი წაეკიდა, შიშველს ეძინა.

34 წლის დანიელ დე გაბრიელს შუაღამისას გაეღვიძა და დამწვრის სუნი იგრძნო. დაძინების წინ მან რამდენიმე ელექტროსაბანი დაიფარა, რომელთაგან ერთ-ერთში მოკლე ჩართვა მოხდა, რამაც მისი აალება გამოიწვია. დანიელი შეეცადა, ცეცხლწაკიდებული ლოგინი წყლით ჩაექრო, თუმცა ამან ვერ უშველა და მაშინ მან ის, უბრალოდ, ქუჩაში გამოიტანა. ამასობაში ცეცხლი მთელ სახლს მოედო და ის და მისი მეგობარი გოგონა საკუთარი ქონების დიდი ნაწილის გარეშე დარჩნენ.

დანიელმა მეორე ხარისხის დამწვრობა მიიღო და ამის გამო ორი კვირა საავადმყოფოში გაატარა. ექიმების თქმით, მას ტანსაცმლით რომ სძინებოდა, დიდი ალბათობით, დაიღუპებოდა.

*მოამზადა კახა ხატიაშვილმა*

## სკანვორდი



1. მდინარე კახეთში; 2. ხელოვნური ენა; 3. დარბაზი (ძვ.); 4. ასო „რ"-ს სახელწოდება; 5. იუპიტერის თანამგზავრი; 6. ხორციანი კორკოტი; 7. ბატონო (ინგლისურად); 8. ზვიგენისებრთა რაზმის თევზები; 9. ტუჩოსანთა ოჯახის მცენარე; 10. ორიანი ნარდში; 11. საფრანგეთის გლეხთა აჯანყება (1358 წ.); 12. ვაჟიშვილი; 13. ... პრესლი; 14. სამხატვრო გამოფენის დახურული დათვალიერება; 15. ბუნებრივი საღებავი; 16. ... ნოლტი; 17. წნელის ღობე; 18. სახელმწიფო სამხრეთ ამერიკაში; 19. რჩეული, საუკეთესო ჯარი; 20. მწერი; 21. სიტყვიდან ასოების გადასმით სხვა სიტყვის მიღება; 22. რუსი კომპოზიტორი; 23. შინაური ფრინველი; 24. ... ჩოხელი; 25. სცენას რაც ანათებს; 26. რისამე აკრძალვა; 27. „... დაიდარდო!"; 28. ღამის პეპელა; 29. ცრუ მოძრაობა ფეხბურთში; 30. გრძელ დისტანციაზე რბენა ან ცურვა; 31. ძროხისთავიან ქალად წარმოდგენილი ქალღმერთი ეგვიპტურ მითოლოგიაში; 32. ინდოელი ქალის კაბა; 33. წყლის ფრინველი.

### წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. კაბერნე; 2. ტალეირანი; 3. სინდრომი; 4. სკუტერი; 5. ცხვარი; 9. ტრიოდი; 11. დიადემა; 12. ვეტელი; 14. დათვები; 18. ოდიში; 19. გუამი.

**თარაზულად:** 4. სირაჯი; 5. ცაგარელი; 6. დიორი; 7. სუარესი; 8. ბერეტა; 10. მდადი; 13. ნადური; 15. რუზინე; 16. მუდო; 17. პინო; 20. ვირუსი; 21. სიგალი; 22. დუშანბე; 23. მარინა.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. ტოიოტა; 2. ლორენი; 3. ტორფი; 5. კრკა; 6. ნუნისი; 8. კენკრა; 11. ტარანტინო; 13. პრომილე; 14. პალიტრა; 15. წირქოლი; 19. ტახი.

**თარაზულად:** 1. ტრიფოლიატი; 4. მარკონი; 7. იომიური; 9. ფაზენდა; 10. ატენი; 12. აშკენაზი; 16. ბარიტონი; 17. ფორნებუ; 18. სიკოფანტი; 20. ნეიმარი; 21. ლეგო; 22. ერისიონი.

## ასტროპროგნოზი

8 ივლისისთვის



**ვერძი** – ნებისმიერი ფინანსური ოპერაციისათვის შეუფერებელი დღეა. არ იაქტიუროთ. **კურო** – ემოციები შეიკავეთ. აგიმაღლდებათ შრომისუნარიანობა. **ტყუპები** – პიროვნული მომხიბვლელობა ახალი საქმიანი კონტაქტების დამყარებაში დაგეხმარებათ. მამაკაცებს პირად ცხოვრებაში პრობლემები გექმნებათ. **კირჩხიბი** – ნებისმიერ საქმეს წარმატებით შეასრულებთ. ნუ ეცდებით ზედმეტი პასუხისმგებლობის აღებას. **ლომი** – გელით საინტერესო შეხვედრები. სასარგებლოა კოლექტიური საქმიანობა. **ქალწული** – წინააღმდეგობრივი დღეა. ფული მომჭირნედ ხარჯეთ. საყიდლებზე წასვლას დღეს არ გირჩევთ. **სასწორი** – შესაძლოა სამსახური ან შემოსავლის წყარო შეგეცვალოთ. მზად იყავით ახალი შემოთავაზებებისათვის. **ღრიანკალი** – შემოქმედებითი დღეა. თვითრეალიზაციას მშვენივრად ახერხებთ. სასიამოვნო იქნება ახალგაცნობილ ადამიანებთან ურთიერთობა. **მშვილდოსანი** – კომერციულ სფეროში გიმართლებთ. ნუ გარისკავთ. **თხის რქა** – პატიოსნად იშრომეთ, ნურავის მოატყუებთ. კარგი დღეა საყიდლებზე წასასვლელად. **მერწყული** – პერსპექტიული დღეა. გეგმების განხორციელებაში პლანეტები ხელს გიწყობენ. **თევზები** – იმედი გიცრუვდებათ. ნურაფერს დაგეგმავთ. მოვლენები არ დააჩქაროთ.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

## ქეთა თოფურია და „ა სტუდიო“ ბათუმში აღარ იმღერებენ



ქეთა თოფურია და მისი ჯგუფი „ა სტუდიო“ ბათუმში აღარ იმღერებენ.

კონცერტი ბათუმის ერთ-ერთ კლუბში 27 ივლისს იყო დანიშნული და ბილეთებიც აქტიურად იყიდებოდა.

„ა სტუდიოს“ კონცერტის გაუქმების მიზეზი ჩვენს ქვეყანაში მიმდინარე მოვლენები გახდა.

პუტინის კონცერტებში იღებენ მონაწილეობას და ამიტომ მოერიდნენ მათ ჩამოყვანას ორგანიზატორები.

მოლაპარაკებები სხვა ჯგუფებთან და შემსრულებლებთან მიმდინარეობს.

## ხატია ბუნიათიშვილმა ფრანგები ქართულად აცეკვა და ამღერა



პიანისტმა ხატია ბუნიათიშვილმა ფრანგები ქართულად აცეკვა და ამღერა.

ფრანგული მთავარი არხის ფრანსე 2-ის პირდაპირ ეთერში პრაიმტაიმი ქართველ პიანისტს დაეთმო.

ინფორმაცია და ვიდეო პიანისტის დამ გვანცა ბუნიათიშვილმა გაავრცელა.

ხატიამ ექსპრომტად პირდაპირ ეთერში ქართულად აცეკვა 5 ცეზარის მფლობელი მსახიობი გიომ გალიენი და ცნობილი ფრანგი ტელეწამყვანი ანა-სოფი ლაპიქსი. პიანისტმა გიომთან ერთად „სულიკოც“ კი იმღერა.

## ალექსანდრე ზაზარაშვილი მსოფლიოს საუკეთესო მომღერლებში დასახელდა




ქართველი მომღერალი, უკრაინული საბავშვო „ვოისის“ ფინალისტი ალექსანდრე ზაზარაშვილი მსოფლიო ყურადღების ცენტრშია.

გლობალ ვოისმა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში ჩატარებული „ვოისის“ ივნისის თვის საუკეთესო ვიდეოების ათეული გამოაქვეყნა. რჩეულთა შორის მეორე ადგილი ალექსანდრე ზაზარაშვილმა დაიკავა ტრიოში ნამღერი ბიონსეს ცნობილი სიმღერით „ჰელო“.

## ზაზა შენგელია: „კულტურის სამინისტროს გაუქმება უდიდესი შეცდომა იყო!“



სტუდია „ბრავო რექორდსის“ ხელმძღვანელი ზაზა შენგელია კულტურის სამინისტროს გაუქმებას უდიდეს შეცდომას უწოდებს:

– გიორგაძესა და მის გუნდს დაატოვებინეს კულტურის სამინისტრო... მეც და ძალიან ბევრ ადამიანს, რომლებიც ამ შეჭირვებულ დროში რეალურად რაღაცას ქმნიან და ქართული კულტურის სფეროში მოღვაწეობენ, მიგვაჩნია, რომ მიხეილ გიორგაძის და მისი მეგობრების ყოფნის წლები საქართველოს კულტურის სამინისტროს ხელმძღვანელობაში იყო ყველაზე ნეგატიური და მძიმე კულტურისათვის.

ამ ადამიანებს რეალურად არ ესმოდათ ქართული კულტურის მნიშვნელობა მსოფლიო გლობალიზაციის პირობებში, როცა კულტურა პრაქტიკულად ქვეყნისა და მისი მრავალსაუკუნოვანი თვითმყოფადობისა და იდენტიფიკაციის ერთ-ერთ უძლიერეს ინსტრუმენტს წარმოადგენს.

რა თქმა უნდა, ერთი წლის წინ საქართველოს კულტურის სამინისტროს გაუქმება იყო უდიდესი შეცდომა და ამას დღეს ბევრი ადამიანი ხმამაღლა ამბობს, თუმცა მათ ისე დააკნინეს თავად სამინისტროს როლი და დაბლა დასწიეს სამინისტროს თამასა, რომ მაშინ თითქმის არანაირი პროტესტი არ მოჰყოლია საზოგადოების მხრიდან სამინისტროს გაუქმებას...

კიდევ რა შემიძლია ვთქვა? რომ ამ ადამიანების სამინისტროში მუშაობის პერიოდში „ბრავო რექორდსისთვის“ და კულტურის სფეროში მოღვაწე სხვა ბევრი კომპანიისთვის სამინისტრო არ არსებობდა არც ერთ განზომილებაში, გარდა ხელის შეშლისა...

პირიქით, მოგეხსენებათ, შარშან გრემის საიუბილეო, მესამოცე დაჯილდოების ცერემონიალზე პუერტორიკოელი რეპერის, რეზიდენტეს ალბომმა, სადაც „ბრავო რექორდსში“'რეზიდენტეს მიერ ქართველ მუსიკოსებთან ერთად ჩაწერილი სინგლიც შევიდა, გრემი დაიმსახურა „საუკეთესო ლათინური როკ და ალტერნატიული ალბომის ნომინაციაში“. ეს იყო უპრეცედენტო შემთხვევა არა მარტო საქართველოს, არამედ მთელი რეგიონის მუსიკალური ინდუსტრიის ისტორიაში...

ამ უდიდესი გამარჯვების გამო თუნდაც ფარატინა ქაღალდზე მოლოცვაც კი არ მიგვიღია... მაგრამ, არა უშავს, სამაგიეროდ, კარგია, რომ ეს ყველაფერი დროებითი აღმოჩნდა და, იმედი მაქვს, არც არასოდეს განმეორდება.

## ნინო სუხიშვილს ფაშისტს უწოდებენ

ანსამბლ „სუხიშვილების“ ხელმძღვანელ ნინო სუხიშვილს ფაშისტს ეძახიან. ჟურნალისტი გიორგი გიგაური მას სოლიდარობას უცხადებს.

როგორც ჟურნალისტი აცხადებს, ნინო სუხიშვილის განცხადების „ქართულ ცეკვაში გეი არ არსებობს!“ შემდეგ მთელი სალიბერასტეთი ნინო სუხიშვილს ფაშისტს უწოდებს:

– არადა, ეს ჭეშმარიტი მართლმადიდებლის განცხადებაა!

„მე ვარ მართლმადიდებელი ქრისტიანი და თამამად ვაცხადებ, რომ ვდგავარ იქ, სადაც ჩემი ეკლესია დგას!“

ამასაც ნინო სუხიშვილი ამბობს!

ასე უნდა ფიქრობდეს ყველა ჭეშმარიტი ქართველი!...

...გეისიყვარულზე გადაღებული ქართულ-შვედური ფილმის „და ჩვენ ვიცეკვეთ“ რეჟისორი ლევან აკინი ამბობს, რომ სუხიშვილების ხელმძღვანელმა ნინო სუხიშვილმა ფილმს პრობლემები შეუქმნა. ამის შესახებ მან „გარდიანთან“ ინტერვიუში თქვა.

ანუ ამ გაურკვეველი წარმომავლობისა და ორიენტაციის არსებამ „სუხიშვილები“ ერთ-ერთ ყველაზე გავლენიან გამოცემასთან დააბეზღა „ჰომოფობიაში“!

აკინის განცხადებით, ნინო სუხიშვილმა ცეკვის სტუდიებს მიმართა, ფილმში მონაწილე მოცეკვავეები დაბლოკა და მათ უთხრა, რომ ფილმში მონაწილეობის შემთხვევაში ცეკვის შესაძლებლობა აღარ ექნებოდათ:

„ფილმის გადაღებამდე ნინო სუხიშვილს შევხვდით და მისი რეაქცია იყო: „რატომ არ შეიძლება, რომ მას გოგონა შეუყვარდეს? ქართულ ცეკვაში გეი არ არსებობს!“



ჩვენ შეგვეძლო, გამოგვეყენებინა მისი დახმარება, მაგრამ მან მხარი არ დაგვიჭირა. მხოლოდ ეს არ იყო, ჩვენ აღმოვაჩინეთ, რომ მან სხვა ცეკვის სტუდიებს მიმართა, ფილმიდან მოცეკვავეები დაბლოკა და მათ უთხრა, რომ ფილმში მონაწილეობის შემთხვევაში ველარას დროს იცეკვებდნენ,“ – ამბობს აკინი და აღნიშნავს, რომ ეს ეფექტი გავრცელდა და მათ ფილმისთვის რამდენიმე მნიშვნელოვანი ადგილი დაკარგეს.

ბრავო, სუხიშვილებო!

გფარავდეთ ღმერთი!

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**



## თოლიამ კურდღელი გადაყლაპა



ზღვის თოლიამ კურდღელი შეჭამა. ამის ამსახველი ვიდეო ერთ-ერთმა ბრიტანულმა გამოცემამ გამოაქვეყნა.

ფრინველის სადილობა ინგლისის ქალაქ ბრისტოლის მკვიდრმა, 28 წლის ირენ მენდეს კრუსმა გადაიღო. ის უელსის კუნძულ სკოკჰოლმზე ისვენებდა. კუნძულის ზედამხედველმა მას თოლიების მტაცებლური ქცევის შესახებ უამბო, გარკვეული დროის შემდეგ კი მან ფრინველის ნადირობის ვიდეოზე გადაღება მოახერხა.

ვიდეორგოლი იწყება იმით, რომ კურდღელი მდელოზე დახტის და ბალახს ჭამს. ამის შემდეგ კამერა თოლიაზე გადაერთო. რამდენიმე წამის შემდეგ ის კურდღელს ნისკარტით იჭერს და და თავს აქეთ-იქით იქნევს.

მან რამდენჯერმე ძირს დააგდო კურდღელი, შემდეგ ისევ აიღო და მის ქნევას აგრძელებდა, სანამ მის სიკვდილში არ დარწმუნდა. ამის შემდეგ თოლიამ კურდღელს ნისკარტი დაავლო და მის გადაყლაპვას შეუდგა. რამდენიმე წამის შემდეგ კურდღლის მხოლოდ ფეხებიღა მოჩანდა, შემდეგ კი ფრინველის ნისკარტში ისინიც გაუჩინარდა.

## ილუზიონისტმა შემთხვევით მაყურებლის თვალწინ თავისი თანაშემწე დაჭრა

სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის ქალაქ გრეჰემსთაუნში მიმდინარე ყოველწლიურ ფესტივალზე ილუზიონისტმა წარმოდგენის დროს თავის თანაშემწეს შემთხვევით თავში ესროლა.

ინციდენტი 30 ივნისს მოხდა. ბრენდონ პილი და მისი თანაშემწე ლი ლაუ მრავალრიცხოვანი მაყურებლის წინაშე მაგიურ ილეთს ასრულებდნენ, როდესაც პილმა გაუფრთხილებლობით ლაუს კეფაში ისარი ესროლა. ფესტივალის ხელმძღვანელ ტონი ლანკესტერის თქმით, შეშინებული მაყურებლების ევაკუაცია დაუყოვნებლივ მოხდა.

ლაუ საავადმყოფოში გადაიყვანეს, სადაც ჭრილობა ოპერატიულად დაუმუშავეს. ლანკესტერის თქმით, ისარს დაშავებულისთვის თავის ქალა არ დაუზიანებია. ის გონებაზეა და მისი მდგომარეობა ნორმალურია.

ფესტივალის ორგანიზატორებმა ტრავმირებულ მაყურებლებს ფსიქოლოგიური დახმარება აღმოუჩინეს. თანამშრომლებმა მომხდარის შიდა გამოძიება დაიწყეს.



## გოგონამ მეგობარ მამაკაცზე შურისძიების მიზნით ოფიციანტს მეტი თანხა გადაუხადა



ამერიკის ფლორიდის შტატის ქალაქ კლიროუტერში გოგონამ ოფიციანტს მეგობარი მამაკაცის საკრედიტო ბარათიდან მასზე შურისძიების მიზნით ე.წ. ჯიბის ფულად ხუთი ათასი დოლარი დაუტოვა.

სერინა ვულფმა უზარმაზარი ჯიბის ფული დაუტოვა ოფიციანტს, რომელიც საყვარელი ძაღლის დაღუპვას ძალიან განიცდიდა. ამასთან, თავად სადილი გოგონას 55 დოლარი დაუჯდა.

პოლიციელების თქმით, გოგონამ ეს თანხა თავისი მეგობარი მამაკაცის საკრედიტო ბარათიდან მოხსნა იმის გამო, რომ მან ნიუ იორკში გასაფრენად თვითმფრინავის ბილეთის ყიდვაზე უარი უთხრა. როდესაც მამაკაცმა შენიშნა, რომ მისი ბარათიდან ხუთი ათასი დოლარი იყო დაკარგული, ბანკს მიმართა, ხოლო ვულფს თაღლითობა დასდო ბრალად.

გოგონა დააპატიმრეს და ფულადი სახსრების ქურდობის ბრალდება წაუყენეს. უცნობია, თუ რა ელის იმ თანხას, რომელიც ვულფმა ოფიციანტს აჩუქა.

## მამაკაცმა უზარმაზარი თევზი დაიჭირა და მსოფლიო რეკორდი დაამყარა

ბრიტანელმა ტაილანდის წყლებში მსოფლიოში ყველაზე დიდი წვერა დაიჭირა, რომლის წონამ 105 კილოგრამი შეადგინა.

ინგლისის დევონის საგრაფოს სოფელ უესტლის მკვიდრმა ჯონ ჰარვიმ ტაილანდის სამხრეთ ნაწილში მდებარე ერთ-ერთ წყალსატევში ანომალიური ზომის თევზი დაიჭირა. მამაკაცის მტკიცებით, ის სამი წლიდან თევზაობით არის გატაცებული, მისმა ნანადირევმა კი მსოფლიო რეკორდი მოხსნა. წინა რეკორდსმენის მიერ დაჭერილი წვერა ჰარვისას 4,5 კილოგრამით ჩამორჩება.

– თევზი ძალიან მიძალიანდებოდა, მის დაჭერას დიდი ძალა შევალიე, – იხსენებს ბრიტანელი მეთევზე, – მხოლოდ 80-წუთიანი ბრძოლის შემდეგ მოვახერხე, ბოლოს და ბოლოს, მისი წყლიდან ამოყვანა. რომ დავინახე, საკუთარ თვალებს არ ვუჯერებდი.

იმისთვის, რომ თევზთან ერთად სურათი გადაეღო, ჰარვის ორი ადგილობრივი მეთევზის დახმარება დასჭირდა. მისი აღიარებით, ის მხოლოდ საკუთარი სიამოვნებისთვის თევზაობს.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**



## ბავშვმა დედის ტელეფონით თამაშისას დივანი შეუკვეთა

ამერიკის კალიფორნიის შტატის ქალაქ სან-დიეგოში ორი წლის გოგონამ, სანამ დედამისს ეძინა, ტელეფონით ამაზონის გვერდზე 450 დოლარად ღირებული დივანი შეუკვეთა.

იზაბელა მაკნილმა ამაზონის გვერდი დივნის სანახავად გახსნა, შემდეგ თავის ორი წლის გოგონას ტელეფონი ისე გადასცა, რომ პროგრამა არ დაუხურავს. გარკვეული დროის შემდეგ ქალმა ამაზონისგან შეტყობინება მიიღო, რომ მასთან დივანი მიჰქონდათ.



– უბრალოდ, შოკში აღმოვჩნდი, ვიფიქრე, რომ ალბათ ავეჯი ძილში შევუკვეთე, – განაცხადა ბავშვის დედამ.

გაირკვა, რომ მისმა გოგონამ, ორი წლის რეინამ, პროგრამა გახსნა და ყიდვის ფუნქციით ისარგებლა. მაკინლი შეეცადა, შეკვეთა გაეუქმებინა, მაგრამ მას აცნობეს, რომ უარის თქმისთვის 79 და ტრანსპორტირებისთვის 100 დოლარის გადახდა მოუწევდა. ახლა ქალი ცდილობს, დივანი ინტერნეტის დახმარებით გაყიდოს.

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


8 ივლისისთვის

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 2.8012

ევრო — 3.1547

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.5133

100 რუსული რუბლი — 4.4134

## ამინდის პროგნოზი 8 ივლისისთვის





## „ახალი თაობა“

წარმოგიდგენთ სერიას

## „მე მიყვარს კითხვა“




9 ივლისიდან

ჯეიმს ფონიმორ კუპერი

ჯაშუში

ფასი გაზეთთან ერთად 8 ლარი

2 ივლისიდან

ანა სიუელი

მშვენიერი შავრა




ფასი გაზეთთან ერთად 8 ლარი


## მიცვალებული გასვენების დროს გაცოცხლდა და ნათესავები შეაშინა



ინდოეთის უტარ-პრადეშის შტატის ქალაქ ლაკხნაუში საკუთარი გასვენების დროს გარდაცვლილმა მამაკაცმა მოულოდნელად მოძრაობები დაიწყო. გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ადგილობრივ საავადმყოფოში ის გარდაცვლილად გამოაცხადეს.

20 ფურკან მოხამადი კერძო საავადმყოფოში რამდენიმე დღის წინ ავარიის შემდეგ მიიყვანეს. სამი დღის შემდეგ ექიმებმა მის ნათესავებს უთხრეს, რომ ის გარდაიცვალა და მისი ცხედარი გადასცეს. დამწუხრებული ოჯახი ახალგაზრდა მამაკაცის დასაფლავებისთვის მზადებას შეუდგა.

გასვენების დროს, როდესაც ფურკანის ცხედარი უკვე სამარეში უნდა ჩაესვენებინათ, ნათესავებმა შენიშნეს, რომ ის ტოკავდა. მოხამადი დაუყოვნებლივ სხვა საავადმყოფოში გადაიყვანეს და იქ ფილტვების ხელოვნური ვენტილაციის მოწყობილობაზე შეაერთეს. ექიმების თქმით, ის კრიტიკულ მდგომარეობაში იმყოფება, თუმცა მისი ტვინი „ერთმნიშვნელოვნად ცოცხალია“.

– მას აქვს პულსი, არტერიული წნევა, მისი რეფლექსები მოქმედებს, – განაცხადეს ექიმებმა.

ფურკანის უფროსმა ძმამ ირფანმა განაცხადა, რომ ოჯახმა კერძო საავადმყოფოში მკურნალობაში 700 ათასი რუპია გადაიხადა.

– მაგრამ, როგორც კი განვაცხადეთ, რომ ფული აღარ გვქონდა, მათ ჩემი ძმა გარდაცვლილად გამოაცხადეს, – განაცხადა ირფანმა.

ქალაქის მთავარმა ექიმმა ნარენდრა აგარვალმა განაცხადა, რომ აღნიშნულ ინციდენტს გულმოდგინედ გამოიძიებენ.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## იუმორი

●●●

ცოლი ქმარს ეუბნება:

– მაპატიე, ძვირფასო, უსაშინლესი ალქაჯივით ვიქცეოდი.

– ასე რატომ ამბობ საკუთარ თავზე? უბრალოდ, ლიდერთა სამეულში მოხვედრაზე პრეტენზია შეგეძლო განგეცხადებინა.

●●●

უცხოელი ტურისტი კანფეტ „ჩიტის რძის“ დანახვაზე ადგილობრივს ეკითხება:

– რა, თქვენთან ჩიტებს წველიან?

– ჩვენთან ყველას წველიან.

●●●

ორი ნაცნობი საუბრობს. ერთი მეორეს ეკითხება:

– რატომაა, რომ ტერორისტები აფეთქებენ თვითმფრინავებს, მეტროს, ავტობუსებს და არა პრეზიდენტებს, პოლიტიკოსებს, მინისტრებს?

– იმიტომ, რომ ტერაქტმა ხალხში საშინელებისა და შიშის შეგრძნება უნდა გამოიწვიოს და არა – უდიდესი კმაყოფილების.

●●●

ხანგრძლივი მივლინებიდან დაბრუნებულმა ქმარმა მეუღლე რესტორანში დაპატიჟა. დალიეს. გარკვეული დროის შემდეგ ქმარი ცოლს ეუბნება:

– შენთან წავიდეთ.

ცოლი კი პასუხობს:

– რას ამბობ! გუშინ ქმარი ჩამომივიდა...

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## მამაკაცმა პლაჟზე ისტორიამდელი ზვიგენის კბილი იპოვა



ამერიკის ჩრდილოეთ კაროლინის შტატის მკვიდრმა ისტორიამდელი ზვიგენის კბილი სანაპიროზე სეირნობის დროს იპოვა.

ჰარვი უოლმა განაცხადა, რომ ძაღლს პლაჟზე ასეირნებდა და რამდენიმეჯერ ზღვის ნიჟარებს გადააწყდა. ზღვის მიქცევის დროს მისი ყურადღება მუქი ფერის ობიექტმა მიიპყრო. მან ხელისგულისხელა საგანს ფეხი წაჰკრა და გადააბრუნა.

ეს მეგალოდონის – ისტორიამდელი უზარმაზარი ზვიგენის კბილი აღმოჩნდა, რომლებიც რამდენიმე მილიონი წლის წინ გადაშენდნენ. ასეთი აღმოჩენა საერთოდ იშვიათობას წარმოადგენს, თუმცა ყველაზე ხშირად მათ მაინც ჩრდილოეთ კაროლინაში პოულობენ.

მამაკაცმა ზვიგენის კბილი გაზომა და მისმა სიგრძემ 15 სანტიმეტრი შეადგინა. უოლის თქმით, მას სურს, ის შტატის ერთ-ერთ მუზეუმს აჩუქოს.

## კომიდან გამოსულმა მამაკაცმა შეიტყო, რომ შეყვარებული ფეხმძიმედ იყო



ინგლისის დერბიშირის საგრაფოს ქალაქ დერბიში მამაკაცი ხელოვნური კომიდან გამოვიდა და შეიტყო, რომ მისი შეყვარებული უკვე ოთხი თვის ფეხმძიმე იყო.

2018 წელს ჯოზეფ კალენს გრიპისა და გაციების სიმპტომები აწუხებდა, ისეთი, როგორიცაა სხეულში სისუსტის შეგრძნება და მწვავე თავის ტკივილები. მარტში მისი მდგომარეობა გაუარესდა, მას კიდურების დამბლა და თავის ტვინში გაჟონვა დაემართა. ექიმებმა მას გამოკვლევა ჩაუტარეს, სისხლის ანალიზიც აუღეს, თუმცა ავადმყოფობის დიაგნოზი ვერ დასვეს.

პაციენტი ხელოვნურ კომურ მდგომარეობაში შეიყვანეს. მისი ზურგის ტვინი სითხე გამოკვლევაზე შვედეთსა და აშშ-ში გააგზავნეს. მიღებულმა ანალიზმა აჩვენა, რომ მამაკაცს აუტოიმუნური ენცეფალიტი ჰქონდა.

– ექიმებმა დაასკვნეს, რომ მისი გადარჩენის შანსი მინიმალური იყო, – განაცხადა კალენის შეყვარებულმა ბილი სმიტმა.

– საკუთარი ფეხმძიმობის შესახებ მის კომურ მდგომარეობაში გადაყვანამდე ორი დღით ადრე შევიტყვე. მაშინ გადავწყვიტე, რომ ამის შესახებ მისთვის მაშინ მეთქვა, როდესაც უკეთ გახდებოდა, – დაამატა 29 წლის ქალმა. სამი თვის შემდეგ მამაკაცი გონს მოვიდა და თავის პალატაში ფეხმძიმე შეყვარებული დაინახა.

– ბილიმ მითხრა: შესანიშნავია, რომ გონს მოხვედი, იმიტომ, რომ ფეხმძიმედ ვარ, – გაიხსენა კომიდან გამოსვლის პირველი წუთები კალენმა.

2018 წლის დეკემბერში ქალმა სრულიად ჯანმრთელი გოგონა გააჩინა. კალენი კი ბოლო ათო თვის განმავლობაში ინტენსიურ მკურნალობას გადიოდა, რისი წყალობითაც ხელების ამოძრავება მოახერხა, თუმცა ფეხებს კვლავაც ვერ ამოძრავებს. მას საავადმყოფოდან, სავარაუდოდ, აგვისტოში გაწერენ.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## კროსვორდი

**თარაზულად:** 6. მდინარის სადინარი; 7. რუსი მწერალი-მეიგავე; 8. კოსმეტიკური საცხი; 9. საფეიქრო ბანანი; 10. ტოლგვერდა ოთხკუთხედი; 13. დადებითად დამუხტული ელექტროდი; 15. ტრანსპორტის სახეობა; 18. ავტორი ბალეტისა „დონ კიხოტი“; 20. მუსიკალური ჟანრი; 21. ბზრიალა; 23. ქალაქი აზერბაიჯანში; 24. ტროპიკების ნახევრად მაიმუნი.

**შვეულად:** 1. ციტრუსი; 2. ტუჩოსანთა ოჯახის მწვანილი; 3. ნაღვლიანი ელფერის მუსიკალური წყობა; 4. ქიმიური ელემენტი; 5. მთის მასივი ლეჩხუმში; 11. ტევადობის საზომი ინგლისსა და აშშ-ში; 12. იაპონური თეატრი; 14. სარტყმელი საკრავი; 16. უმაღლესი სასწავლებლის ხელმძღვანელი; 17. რიცხვის მეათასედი; 19. მომღერალი ... ევორა (კაბოვერდე); 21. მუსლიმანი ქალის თავსაბურავი; 22. საშუალო ზომის მტაცებელი ცხოველი.

*შეადგინა ოლივერ კოხიამ*





ჩან ჩან ვან + მა ინ ლონ

გამოიყენება ბუასილის სამკურნალოდ







ჯიან პი ვან

კუჭ-ნაწლავი, უმადობა იმუნიტეტი




გუი ფუ დი ჰუანგ ვან + ცუნ ცაო

აუმჯობესებს პოტენციას







ჩვენ გვჭირდება პიროვნება, რომელიც წამლების რეალიზაციას შეძლებს

ბოაი

ჩინური მედიცინის ცენტრი და აფთიაქი

არც ერთი წამალი არ შეიცავს ქიმიურ დანამატს

მისამართი: ვაკე, ილია ჭავჭავაძის №15

მობ. ტელ: 568-73-73-44

www.facebook.com/Boaigeorgia/